

ISSN 1512-3715

---

---



№ 25



კუთაისის სამეცნიერო ჟურნალი  
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL  
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ქუთაისი - KUTAISI - КУТАИСИ

2020

დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ჟურნალი

## ЖУРНАЛ НАУЧНОГО ОБЩЕСТВА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

### JURNAL OF SCIENTIFIC SOCIETY OF THE WESTERN GEORGIA

#### სარედაქციო პოლეგია:

ხელამე ნინო (მთავარი რედაქტორი), ადამიანი ვანიშვილი - (სომხეთი), აბასირვა ირშალი - (აზერბაიჯანი), ბეზბოროდოვი ალექსი - (აშშ), ბიომი სტეფანი - (გერმანია), დილგერი კლაუსი - (გერმანია), ენუქიშვილი ენაზე - (რუსეთი) რუბენი - (ისრაელი), ვინევილ გამ ჩაიგი - (ისრაელი), მამადოვი ელიაზი - (აზერბაიჯანი), მამიკონიანი პორისი - (სომხეთი), სტენკამპი ანდრე - (აშშ), ძირია დოდო (მდივანი), გელაშვილი ოთარი, ზევზივაძე ომარი, გოგალიანი ნოშრევანი, მებრელიანი თამაზი, ნატრიაშვილი თამაზი, ნიკოლევიშვილი ავთაძეილი, ხაჭაპურიძე რამაზი, გეგუჩაძე ვიქტორი, გორგოლიძე გიორგი, რუხაძე ვახტანგი, გეგუჩაძე მირანდა, კავარიძე ზერაბი, კილაძე ნანა.

#### EDITORIAL BOARD:

N. KHELADZE – (Editor-in-Chief), V. ADAMIAN – (Armenia), I. ABBASOV – (Azerbaijan), A. BEZBORODOV – (USA), S. BHÖM – (Germany), K. DILGER – (Germany), R. ENUKHISHVILI (ENUKHI) – (Izrael), MICHAEL BEN CHAIM – (Izrael), E. MAMMADOV – (Azerbaijan), B. MAMIKONIAN – (Armenia), A. STEENKAMP – (USA), D. Kiria – (secretary), O. GELASHVILI, O. ZIVZIVADZE, N. KOPALIANI, T. MEGRELIIDZE, T. NATRIASHVILI, A. NIKOLEISHVILI, R. KHACHAPURIDZE, TC. GEGUCHADZE, G. GORGODZE, V. RUKHADZE, M. GETSADZE, Z. JAPARIDZE, KILADZE NANA.

#### РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Н. ХЕЛАДЗЕ – (главный редактор), В. АДАМЯН – (Армения), И. АББАСОВ – (Азербайджан), А. БЕЗБОРОДОВ – (США), С. БИОМ – (Германия), К. ДИЛГЕР – (Германия), Р. ЕНУКИШВИЛИ (ЕНУХИ) – (Израиль), МИХАИЛ БЕН ХАИМ – (Израиль), Е. МАММАДОВ – (Азербайджан), Б. МАМИКОНЯН – (Армения), А. СТЕНКАМП – (США), Д. КИРИЯ (секретарь), О. ГЕЛАШВИЛИ, О. ЗИВЗИВАДЗЕ, Н. КОПАЛИАНИ, Т. МЕГРЕЛИДЗЕ, Т. НАТРИАШВИЛИ, А. НИКОЛЕИШВИЛИ, Р. ХАЧАПУРИДЗЕ, Ц. ГЕГУЧАДЗЕ, Г. ГОРГОДЗУ, В. РУХАДЗЕ, М. ГЕЦАДЗЕ, З. ДЖАПАРИДЗЕ, КИЛАДЗЕ НАНА.

ჟურნალი “ნოვაცია” ბეჭდავს ახალ, აქამდე გამოუქვეყნებელი საინტერესო მეცნიერებლი კვლევის შედეგებს საინჟინრო, ბიოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში.

ჟურნალის მიზანია მეცნიერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ახალი სამეცნიერო მიღწევები და ხელი შეუწყოს ავტორთა სამეცნიერო კავშირების დამყარებას ქართველ და უცხოელ კოლეგებთან.

სარედაქციო კოლეგია ყურადღებით მიიღებს მკითხველთა უკელა კონკრეტულ შენიშვნასა და საქმიან წინადადებას.

#### **რედკოლეგია**

Журнал «Новация» печатает результаты новых, неопубликованных до этого интересных научных исследований в инженерных, биологических, естественных и гуманитарных областях наук.

Целью журнала является содействие в доступности новых научных достижений и установление научных связей авторов их грузинскими и зарубежными коллегами.

Редакционная коллегия внимательно примет все конструктивные замечания и деловые предложения читателей.

#### **Редколлегия**

Magazine "Novation" prints results new, unpublished before interesting scientific research in engineering, biological, natural and humanitarian areas of sciences.

The purpose of magazine is assistance in availability of new scientific achievements and an establishment of scientific communications of authors their Georgian and foreign colleagues.

The editorial board will closely accept all constructive remarks and business offers of readers.

#### **Editorial boar**

## ს ა რ ჩ მ ვ ი

|  |    |
|--|----|
| 1 გ. ქობალია. ბიოტექნოლოგიის მეთოდები სოფლის მეურნეობაში   | 7  |
| 2 ე. კილასონია, ს. თაგბერიძე, ქ. თურმანიძე. ავტომობილის ძრავის საწვავის ეკონომიკურობა სამთო პირობებში  | 11 |
| 3 მამუკა წიქორიძე. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში  | 16 |
| 4 მ. გეწაძე. თანამედროვე ლიბერლური დემოკრატიის მოდელები  | 20 |
| 5 ნ. გუბელაძე. მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები   | 27 |
| 6 ნ. ცუცქირიძე. მცენარეში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდები  | 45 |
| 7 ნ. ხაზარაძე. ნავთობპროდუქტების ჩაღვრისაგან წყალსატევების გაწმენდის მეთოდები  | 51 |
| 8 ნ. ხაზარაძე. ბუნებრივი ცეოილითების იონმიმოცვლითი სორბცია   | 55 |
| 9 მ. ჯიქია. ალკოჰოლის მავნე გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე  | 59 |
| 10 ნ. ჩახსიანი—ანასაშვილი, მ. ყუბანევიშვილი. იმერეთის რეგიონში დაფნის პულტურაზე ნიადაგის ენტომოფაუნის გამოკვლევა   | 65 |
| 11 ნ. ყიფიანი, ლ. კოპალიანი. ბიოგორიოგიური მეთოდის გამოყენების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობაზე   | 69 |
| 12 ნ. ჯინჭარაძე. ჩაის პლანტაციაში გამოყენებული გასხვლის სახეების გამოყენების შედეგების ზოგადი მიმოხილვა  | 73 |
| 13 ი. ოჩხიკიძე, ქ. ქუთელია, ე. ბენიძე,, რ. კილაძე. საოფისე ინტერიერის მოწყობა და პროექტის დაგეგმვა, თანამედროვე კომპიუტერული დიზაინერული პროგრამა „наш сад кристал 10“ ში. | 77 |
| 14 ქ. ქუთელია, ი. ოჩხიკიძე. დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების თესლის სამეურნეო ვარგისიანობის დადგენა პეტუნიას მაგალითზე   | 84 |
| 15 ნ. ხელაძე, ც. გეგუჩაძე, დ. ქირია. პოლიპროპილენის შევსება სინთეზური ბოჭკოვებით   | 88 |

## С О Д Е Р Ж А Н И Е

|    |  |    |
|----|--|----|
| 1  | В. Кобалия. Методы биотехнологии в сельском хозяйстве  | 7  |
| 2  | Е. Киласония, С. Тавберидзе, К. Турманидзе. Экономичность автомобильного моторного топлива в горных условиях   | 11 |
| 3  | М. Цикоридзе. Материально-техническая база и технический прогресс в сельском хозяйстве   | 16 |
| 4  | М. Гецадзе. Современные теории либеральной демократии  | 20 |
| 5  | Н. Губеладзе. Проблемы, вызванные низкой мотивацией учащихся и пути их решения   | 27 |
| 6  | Н. Цуцкиридзе. Методы определения биологически активных веществ в растениях  | 45 |
| 7  | Н. Хазарадзе. Методы очистки водоемов от разливов нефти  | 51 |
| 8  | Н. Хазарадзе. Ионообменная сорбция натуральных цеолитов  | 55 |
| 9  | М. Джикия. Пагубное влияние алкоголя на здоровье человека  | 59 |
| 10 | Н. Чачхиани-Анасашвили, М. Кубанеишвили. Исследование почвенной энтомофауны на культуре лавра благородного в регионе имеретий  | 65 |
| 11 | Н. Кипиани, Л. Копалиани. Влияние биоэкологических методов на морозоустойчивость цитрусовых  | 69 |
| 12 | Н. Джинчарадзе. Общий обзор результатов использования правил обрезки чайных плантаций  | 73 |
| 13 | И. Очхикидзе, К. Кутелия, Е. Бенидзе, Р. Киладзе. Организация офисных интерьеров и планирование проектов в программе современного компьютерного дизайна «наш кристалл 10». | 77 |
| 14 | К. Кутелия, И. Очхикидзе. Определение ельскохозяйственную пригодность семян декоративных травянистых растений на примере петунии.  | 84 |
| 15 | Н. Хеладзе, Ц. Гегучадзе, Д. Кирия. Наполнение полипропилена синтетическими волокнами  | 88 |

## C O N T E N T S

|    |   |    |
|----|---|----|
| 1  | V. Kobalia. Biotechnology methods in agriculture  | 7  |
| 2  | E. Kilasonia, S. Tavberidze, K. Turmanidze. Economy of motor fuel in mountain conditions  | 11 |
| 3  | M. Tsikoridze. The material and technical base and technical progress in agriculture  | 16 |
| 4  | M. Getsadze. Modern theories of liberal democracy   | 20 |
| 5  | N. Gubeladze. Problems caused by low motivation of students and ways to solve them  | 27 |
| 6  | N. Tsutskiridze. Methods for determining biologically active substances in plants   | 45 |
| 7  | N. Khazaradze. Methods for cleaning water from oil spills   | 51 |
| 8  | N. Khazaradze. Methods for cleaning water from oil spills Ion exchange of natural zeolites  | 55 |
| 9  | M. Jikia. Negative effects of alcohol on the human body   | 59 |
| 10 | N. Chachkhiani-Anasashvili, M. Kubaneishvili. The study of soil entomofauna on the noble laurel culture   | 65 |
| 11 | N. Kipiani, L. Kopaliani. Nfluence of the use of bioekological method on frost resistance of citruses   | 69 |
| 12 | N. Jincharadze. A general overview of the results of using tea plantation pruning rules   | 73 |
| 13 | I. Ockhikidze, K. Kutelia, E. Benidze, R. Kiladze. The arrangement of the office interior and planning of the project in the modern computer designing program “наш сад кристал 10” | 77 |
| 14 | K. Kutelia, I. Ochkhikidze. The restoration of economic adaptability of decorative herbaceous plant seeds on the example of petunia   | 84 |
| 15 | N. Kheladze, Ts.Geguchadze, D. Kiria. Filling polypropylene with synthetic fibres   | 88 |

აგრძელებული ბიოტექნილოგიები  
ბიოტექნილოგიების მეთოდები სრულის მეზონეობაში

განხტანბ ქობალია  
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში მემცნიერების, მათ შორის სუბტროპიკული მემცნიერების, ინტენსიურიაციის პროცესში ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, საჭიროა პრინციპულური ახლი მიღვომების, ორიგინალური არატრადიციული, კოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების, ე.წ. “მაღალი ტექნილოგიების” დანერგვა. სტატიაში მოტანილია მემცნიერების ინტენსიურიაციის მიზნით ბიოტექნილოგიური მეთოდების (კლონური მიკროგამრავლება და გაჯანსაღება, ემბრიოკულტურა, *in vitro* განაყოფიერება, სომაკლონური გარიანტები, ექსპერიმენტული ჰაკლოიდია და სხვა) გამოყენების ეფექტურობის და პერსპექტივულობის ანალიზი. ნაჩვენებია, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში აუცილებლად უნდა შეიქმნას კვლევითი და საწარმოო სამუშაოების წარმართვის შესაბამისი პირობები.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც უსწრაფეს გადაწყვეტას საჭიროებს არის სასურსათო. მე-20 საჟუნის მეორე ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტას ქიმიზაციის, მელიორაციისა და მექანიზაციის გზით ცდილობდნენ, რამაც გარემოს გაბინძურება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა (დამლაშება, ეროზია, სახნავი ფენის სტრუქტურის გამკვრივება და დარღვევა), პროდუქციის გაძვირება და სხვა გამოწვია.

აღმოჩნდა, რომ ტრადიციული მეთოდებით კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა საქმაოდ მნელია. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემდგომმა გაუმჯობესებამ ამ მეთოდებით უკვე მიაღწია თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს. საჭიროა პრინციპულად ახალი, ორიგინალური მიღვომები, რომლებიც უსრუნველყოფენ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის ამაღლებას, არამედ ამავე დროს იქნებიან შედარებით იაფი და ეკოლოგიურად უსაფრთხოო. პრობლემის გადაწყვეტის ასეთი მიმართულებას მიეკუთვნება ბიოტექნილოგია, რომელიც ითვლება ინოვაციური ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

ბიოტექნილოგიის არსი ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქტების მასობრივი წარმოების მიზნით ცოცხალი ორგანიზმების (მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები) ბიოლოგიური პროცესების ეფექტურ მართვაში მდგომარეობს.

ბიოტექნილოგიური მეთოდებიდან სოფლის მეურნეობაში ყველაზე ფართო გავრცელება მოიპოვა მცენარეთა კლონური მიკროგამრავლებისა და გაჯანსაღების ხერხმა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების ანალოგიურს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის მიმდინარეობს სინჯარის პირობებში. *in vitro* კლონური მიკროგამრავლება საშუალებას იძლევა მოკლე დროში გამრავლებულ იქნას ძვირფასი გენოტიპები, რაც მეტად მნიშვნელოვანია როგორც წარმოებისათვის, ისე სელექციური პროცესის დაჩქარებისათვის. მეთო-

დის სხვა უპირატესობებიდან აღსანიშნავია პროცესის მინიატურიზაცია, რაც გამრავლებული მცენარეების ქვეშ დაკავებული ფართობების შემცირების საშუალებას იძლევა; ასევე ამ გზით შესაძლებელია მიღებულ იქნას სარგავი მასალა ისეთი მცენარეებიდან, რომლებიც ჩვეულებრივი წესით ცუდად ან საერთოდ არ მრავლდებიან. ამ დროს მცენარეები სწრაფად გადადიან იუვენილური ფაზიდან რეპროდუქტიულ ფაზაში [1,2].

მცენარეთა *in vitro* სწრაფ გამრავლებას, შეხამებულს თერმო- ან ქემოთერაპიასთან (ზოგჯერ მაგნიტოთერაპიასთან), ფართოდ იყენებენ ვირუსოვანი ან მიკოპლაზმური დაავადებებისაგან მცენარეთა გასაჯანსაღებლად. ასეთი სამუშაოები ფართოდ ტარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხეხილოვანი, კენკროვანი, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა კულტურების მიმართ. ეს საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას არა მარტო მოსავლიანობის მატება, არამედ არსებითად ამაღლებული იქნას არახელსაყრელი გარემო ფაქტორების (ექსტრემალური ტემპერატურები, ნიადაგის დამლაშება, გვალვა და სხვა) მოქმედებებისადმი მცენარეთა გამდლობა, რაც ბოლო წლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლიმატის ცვლილებასა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით. პლანტაციების გაშენება გაჯანსაღებული სარგავი მასალით მცენარეთა პესტიციდებით დამუშავების არსებითად შემცირების და მოსავლიანობის ამაღლების (15-35% და მეტი) საშუალებას იძლევა [1].

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ მეთოდების გამოყენებას, თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, სათანადო უერადლება არ ექცევა. არ არსებობს ასეთი სარგავი მასალის წარმოების, სერტიფიცირების და რეალიზაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, მეთოდური მითითებები, შესაბამისი ლაბორატორიები, პროფესიონალი კადრები, ბიზნესის ინტერესი და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის განვითარების მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია სელექციის თანამედროვე მეთოდების ფართო გამოყენება. ამ მხრივ

ყველაზე ფართოდ გამოყენებულია *in vitro* კულტივირებადი უჯრედებიდან ახალი საინტერესო მექავიდრული თვისებების მატარებელი უჯრედული ხაზებისა და მცენარეების გამორჩევაზე დაფუძნებული მეთოდი - უჯრედული სელექცია. ამ დროს მიზანმიმართული სელექციური პროცესის ჩასატარებლად, ანუ კულტივირებადი უჯრედების მასიდან სასურველი მიმართულებით შეცვლილი ცალკეული უჯრედების გამოსარჩევად, იქმნება სპეციალური სელექტიური სისტემა, რომელიც ამ უჯრედების ზრდის საშუალებას იძლევა. უჯრედების დონეზე სელექცია მცირე მოცულობის და მკაცრად კონტროლირებად გარემოში დიდი რაოდენობით მცენარეული მასალის გამორჩევის და შესაბამისად, ტრადიციული სელექციის მეთოდებთან შედარებით, სამეურნეო ძვირფასი ნიშნების მქონე მცენარეთა მიღების პროცესის არსებითად (2-4 ჯერ) დაჩქარების საშუალებას იძლევა. იგი უზრუნველყოფს ექსპერიმენტული ნარგაობების ფართობების და ახალი ჯიშის შექმნაზე გაწეული დანასახარჯების არსებით შემცირებას. მის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ასევე შეჯვარების არ არსებობა და შესაბამისად გენოტიპების ძირითადი სამეურნეო თვისებების მნიშვნელოვანი ცვლილება. ჯიშები უმჯობესდება მხოლოდ ცალკეული ნიშნების მიხედვით [1,4].

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცენარეთა სელექციურ მუშაობაში დიდი წარმატებებია მოპოვებული ემბრიოკულტურის, *in vitro* განაყოფიერების, სომაკლონური ვარიანტების, ექსპრიმენტული ჰაპლოიდის და სხვა მეთოდების გამოყენებით [1,2,3].

ემბრიოპულტურა, ანუ განუვითარებელი ჰიბრიდული ჩანასახების ან მომწიფებული ჩანასახების კულტივირება ხელოვნურ საკვებ არეზე, ეფექტურია ხეხილოვან კულტურების შორეული ჰიბრიდების უნაყოფობის დაძლევის პრობლემის გადაწყვეტაში. ამ გზით მრავალ კულტურაში მიღებულია სტერილური და სუსტადნაუფიერი შორეული ჰიბრიდების F<sub>2</sub> თაობის სხვადასხვა დირებულების მრავალრიცხოვანი მცენარე. მეთოდის პრაქტიკული გამოყენების ასექტებიდან მნიშვნელოვანია: სახეობათა შორისი და გვარეობათა შორისი ჰიბრიდების შესაძლებლობა; სელექციისათვის ძვირფასი საწყისი მასალის შენარჩუნება; სელექციური პროცესის გრძელი ციკლის შემცირება და სხვა.

გარკვეული წარმატებებია ხეხილოვან კულტურების სელექციაში *in vitro* ჰაპლოიდის მეთოდით [3]. ჰაპლოიდები უზრუნველყოფენ თვითდამტკერილი მცენარეების ტოლფას, პეტერზისულ სელექციაში დიდი მნიშვნელობის მქონე, სტაბილური ჰომოზიგოტური მცენარეების დაჩარებულ მიღებას; ჰაპლოიდები საშუალებას იძლევა სწრაფად მოიძებნოს საჭირო კომბინაცია შეჯვარებაში, ისინი ამოკლებენ ჯიშების გამოყვანის დროს და ამცირებენ სასელექციო მასალის რაოდენობას; ჰაპლოიდები მოხერხებულია მუტაციებისათვის, ვინაიდან ჰაპლოიდურ დონეზე ადგილია რეცესიული მუტაციის გამოვლენა, მათში დომინირების მოვლენის უქონლობის გამო და ა.შ.

იზოლირებული სომატური უჯრედების (განსაკუთრებით კალუსის) *in vitro* ჰიბრიდებში კულტივირება და მათგან მოლიანი მცენარის რეგენერაცია, ხშირად სპონგიურ გენეტიკურ ცვალებადობაზე დაფუძნებულ, სომაკლონური ცვალებადობის ინდუცირებას იწვევს. ეს კი ტრადიციული სელექციის მეთოდების გამოყენებისა და უცხო გენების გადატნის გარეშე გაუმჯობესებული მცენარეების მიღების საშუალებას იძლევა [1].

ეფექტურია სელექციურ მუშაობაში *in vitro* მუტაცია, რომელსაც მცენარის დონეზე ექსპერიმენტულ მუტაციასთან შედარებით, გააჩნია რიგი უპირატესობა: ერთი პეტრის ჯამში კულტივირებული უჯრედების რაოდენობა თითქმის იმდენივეა, რაც ათას პეტარზე დარგული მცენარეებისა; მუტანტური ნიშნები უფრო სწრაფად ვლინდება ცალკეული უჯრედების დონეზე; შესაძლებელია ახალი ტიპის მუტაციების მიღება, მათ შორის ბიოქიმიური ხასიათის; ახალი სასურველი ნიშნის მიღებაზე გაცილებით ნაკლები დრო და შრომითი რესურსები იხარჯება [1,4].

ამრიგად, წარმოდგენილი მასალა ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია ამ მეთოდების სხვადასხვა კულტურების, მათ შორის სუბტროპიკული კულტურების სელექციურ და აგროტექნოლოგიურ მუშაობაში ფართოდ გამოყენება. მემცენარეობის ინტენსიფიკაციის ამაღლებაში მათი ეფექტურობისა და პერსპექტიულობის მრავალი მაგალითი თვალსაჩინოდ გვარწმუნებს, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას ამ მიმართულებით კვლევითი და საწარმოო მუშაობის პირობები.

## ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ვ. ქობალია. მცენარეთა ბიოტექნოლოგია. “მოწამეთა”, ქუთაისი, 2008, 532 გვ.
2. Расторгуев С.Л. Культура изолированных тканей и органов в селекции плодовых растений. Мичуринск - Наукоград РФ. Изд.-во МичГАУ, 2009, 170 с.

3. Савельев Н.И., Олейникова О.Я. Культура *in vitro* пыльников яблони: достижения и перспективы. Мат. конф., Новочеркасск, 2005, с.42-47.
4. Evans D.A., Sharp W.R., Medina-Filho P. Somaclonal and gametoclonal variation. Am. J. Bot., 1984., vol. 71, p. 759 -774.

Аграрные Биотехнологии

## **МЕТОДЫ БИОТЕХНОЛОГИИ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ**

**В. КОБАЛИЯ**

Государственный университет Акакия Церетели

Резюме

В Грузии в процессе интенсификации растениеводства, в том числе и субтропического растениеводства, наряду с традиционными методами, необходимо внедрение принципиально новых подходов, оригинальных, нетрадиционных, экологический безопасных методов, т.н. "высоких технологий". В статье приведен анализ эффективности и перспективности биотехнологических методов (клональное микроразмножение и оздоровление, эмбриокультура, *in vitro* оплодотворение, сомаклональные варианты, экспериментальная гаплоидия и т.д.) в деле интенсификации растениеводства. Показно, что в стране необходимо создать соответствующие условия для проведения научных и производственных работ в этом направлении.

Agricultural Biotechnology

## **BIOTECHNOLOGY METHODS IN AGRICULTURE**

**V. KOBALIA**

Akaki Tsereteli State University

Summary

In addition to traditional methods of intensifying Georgia's crop rotation, including sub-tropical crop rotation, it is necessary to introduce a new approach, original non-traditional, environmentally safe methods, so-called "high technologies". The article presents an analysis of the efficacy and prospects of using biotechnological methods (clonal micro-propagation and breeding, embryoculture, *in vitro* fertilization, somaclonal variants, experimental haploidy, etc.) to intensify plant breeding. It is shown that appropriate conditions for conducting research and production work must be created in this country.

ავტომობილის ძრავის  
საჭავავის ეკონომიკურობა სამთო პირობებში

ემზარ პილასრია, სოსო თავბერიძე, შეთებან თურმანიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამთო პირობებში ავტომობილის მუშაობა ხასიათდება მრავალი თავისებურებებით, რომლებიც ავტომობილს და მის ძრავს უკენებს გარკვეულ მოთხოვნებს.

ნაშრომში განხილულია მსუბუქ საწვავზე მომუშავე და დისკრეტული შეფრენების ხისტენის ძრავებით აღჭურვილი ავტომობილების უაირატებები იძულებით უქმდაზე მუშაობის დროს, რომელიც დამახასიათებელია სამთო-საექსპლუატაციო პირობებისათვის და უფრო ეფუძნებოდა ცვალებადი რეჟიმების საიმედო და ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის.

მთიან რაიონებში თითქმის ყველა გადაზიდვა სრულდება საავტომობილო ტრანსპორტით. შაავტომობილო გზები მთიან რაიონებში კვეთევენ სხვადასხვა კლიმატურ ზონას. სამთო გზები ხასიათდებიან ნერასის კლანილებით, ხშირი და მკვეთრი მოსახვევებით (ზოგჯერ 10 მ რადიუსამდე) და საკმაოდ ხანგრძლივი აღმართებითა და დაღმართებით. გრძივი დახრები აღწევენ 9-10% და მეტსაც, როდესაც გზის დახრილი მონაკვეთის სიგრძე 300-400 მეტრია. სამთო გზების ზღვის დონიდან განლაგების სიმაღლის მომატების შესაბამისად იცვლება ატმოსფეროს ძირითადი პარამეტრები: ტემპერატურები, სიმკვრივე და ბარომეტრული წნევა. სამთო გზების ცვლადი რელიეფ მოითხოვს ძრავას მუშაობას სხვადასხვა რეჟიმებზე დატვირთვის მკვეთრი ცვალებადობით, ხოლო გრძელი დაღმართები აიძულებს მდლოლს ავტომობილი დაამუხრუჭოს ძრავათი.

ზღვის დონიდან სიმაღლის გადიდების მიხედვით ჰაერის სიმკვრივის შემცირება უარყოფითად მოქმედებს ძღვანს სამუშაო პროცესზე და იწვევს მისი სიმძლავრის შემცირებას და ეკონომიკურობის გაუარესებას. ზღვის დონიდან სიმაღლის მომატებასთან ერთად კლებულობს, როგორც ჰაერის, ისე საწვავის საათობრივი ხარჯი, მაგრამ საწვავის ხარჯთან შედარებით ჰაერის ხარჯი უფრო ინტენსიურად კლებულობს, რის გამოც საწვავი ნარევი მდიდრდება [1].

საწვავის ხარჯის შემცირების მიზნით, როგორც დიზელის ძრავებში, ისე კარბურატორიან ძრავებში ფართოდ გამოიყენება ჩაბერვა. ჰაერის დაჭირებით ძრავას მაქსიმალური სიმძლავრის შეუცვლელად ჩაბერვის შემდეგ ხვედრითი ხარჯი შეიძლება შემცირდეს დაბალ დატვირთვებზე, რაც უზრუნველყოფს საწვავის ხარჯის 10%-მდე შემცირებას. არდა ამისა, ამ შემთხვევაში იზრდება მგრეხავი მოქენტის რეზერვი, რაც აგრეთვე ამცირებს საწვავის ხარჯს.

საწვავის ხარჯი მცირდება ძრავას ცილინდრების ჯგუფის გამორთვით ნაწილობრივ დატვირთვებზე. გამოიყენება აგრეთვე დამხმარე აგრეგატების აძგრაზე ძრავას სიმძლავრის დანახარჯების შემცირების მოწყობილობები. მაგ.

ვენტილატორის გამორთვით შეიძლება საწვავის ხარჯის შემცირება 2-3%-ით, ხოლო ძრავში მექანიკური დანაკარგების შემცირებით კი 4-10%-ით. ავტომობილის მართვის სტილზე დამოკიდებულია კინეტიკური და პოტენციური ენერგიის გამოყენება, რაც განაპირობებს საწვავის ხარჯის შემცირებას 25%-მდე.

საწვავის ხარჯის შემცირების მიზნით რეკომენდებულია მართვის შემდეგი ხერხები: გზის პორიზონტალურ მონაკვეთზე მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარე 25%-ით ნაკლებია მაქსიმალურთან შედარებით. ძრავას ბრუნვათა საშუალო სიხშირე უნდა იყოს 30-40%-ით ნაკლები ნომინალურთან შედარებით.

ამოყენებული უნდა იქნეს უფრო მაღალი გადაცემები, ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავტომობილის თანაბარზომიერი მოძრაობა, მკვეთრი გაქანების, დამუხრუჭების და ზედმეტი გადართვების გარეშე [2].

სამთო პირობებში ავტომობილის მუშაობისას ძრავას ხშირად იყენებენ სამუხრუჭების შესაქმნელად იძულებით უქმი სვლის რეჟიმზე მუშაობით. მომენტის სიდიდე პროპორციულია ჩართულ ტრანსმისიაში გადაცემის რიგისა, ანუ რაც უფრო დაბალია გადაცემა, მით უფრო მძლავრია ეფექტი. ამ პროცესში ძრავის მუხლა ლილვი აჩქარებს ბრუნვას, ხოლო მისი ინდიკატორული სიმძლავრე უტოლდება მექანიკური დანაკარგების ექვივალენტურ მუშაობას.

სპეციალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ იძულებით უქმი სვლის რეჟიმზე მუშაობა, ჩვეულებრივ საქალაქო პირობებში ავტომობილის მუშაობის დროს 18 %-ია, ხოლო მთაგორიან პირობებში ექსპლუატაციის დროს კი – 30% [3].

უქმი სვლის რეჟიმზე მუშაობის დადებითი მომენტებიდან, პირველ რიგში აღსანიშნავია საწვავის მიწოდების ნაწილობრივი შემცირება, ხოლო უარყოფითია ის, რომ ბრუნთა რიცხვების ზრდას, ანუ სამუხრუჭების გაზრდას თან ახლავს ცვეთის ინტენსივობის ზრდა და სითბური ბალანსის დარღვევა; არადა დაღმართზე ხანგრძლივად სვლის დროს (გამორთული ძრავით), ზედმიწევნით იზრდება სამუხრუჭების ცვეთა, იწვება მისი ზედაპირები და მათზე გამოიყოფა ფისოვანი ნივთიერებები, რომლებიც ამცირებენ ხახუნის კოეფიციენტს და იწვევენ სამუხრუჭებების უნარის დაკარგვას. გარდა აღნიშნულისა, საწვავის მიწოდება იძულებით უქმ სვლაზე გადასვლისას არ წყდება, რაც იწვევს მის უმიზნოდ ხარჯვას გადაცემის დადაბლების პროპორციულად. აქ უნდა აღინიშნოს ის ნიუანსიც, რომ მიხურული სადროსელო მისავარის დროს შეიწოვება შედარებით მდიდარი სამუშაო ნარევი, რომელშიც შემავალი ბენზინი მთლიანად არ იწვება, რეცხავს ცილინდრის კედლებს და ათხელებს მის ზედაპირზე მიწოდებულ ზეთს; ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება დაღმართზე ჰაერის ცივი ნაკადით ძრავის გაგრილების დროს.

ცნობილია, რომ შეფრქვევის პრინციპზე გადასვლამ ბენზინის ძრავებში მნიშვნელოვნად გაზარდა მათი ეკონომიკურობა; ეს მიიღწევა პირველ რიგში საწვავის ციკლური მიწოდების დაყოფით და ჰაერსაწვავის ხარისხისა და რაოდენობის რეგულირებით ნებისმიერ მომენტში დატვირთვების ცვალებადობის მიუხედავად. მეორე, არანაკლები უპირატესობაა ამ ძრავების მაღალეკოლოგიური ეფექტი, რაც დაკავშირებულია გარემოს ნაკლებად გაჭუჭყანებასთან – გამობოლქვილი ტოქსიკური ჰაერისაგან.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ძრავების ეკონომიკური ეფექტი მირითადად მეღავნდება საწვავის ხვედრითი ხარჯის (ge) შემცირებით სხვა ტიპის ძრავებთან შედარებით.

რადგან საკითხი ახალია, ტექნიკურ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება დიზელისა და შეფრქვევის სისტემიანი ძრავების შედარებითი დახასიათება, რის

გამოც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივაღწიოთ ამ ორი, ერთმანეთის მხგავსი (ნარევწარმოქმნის მიხედვით) ძრავების შედარებას საწვავის ხარჯის მიხედვით. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ავდნიშნოთ, რომ ძრავების შეფრქვევის სისტემები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა; პირველი ჯგუფი ცნობილია ცენტრალური შეფრქვევის სისტემით, რომელშიც ელექტრომაგნიტური ფრქვევანა ემსახურება ყველა ცილინდრს და მონტირებულია შემშვებ კოლექტორში დროსელის მისაფარის ზემოთ; ეს ძრავები ნარევწარმოქმნის პრინციპების მიხედვით შორსაა დიზელებისაგან და ჩვენ მათ არ განვიხილავთ; რაც შეეხება ეწ. გამანაწილებელი ტიპის შეფრქვევის სისტემას, აქ გამოიყენება ფრქვევანის ორი ტიპი: დისკრეტული (ციკლური) ფრქვევანა და უწყვეტი მიწოდების ფრქვევანა. მესამე ჯგუფი ძრავებისა გამანაწილებებლი ტიპისაა უშუალოდ ცილინდრის არეში შეფრქვევით, რომელიც ამჟამად შესწავლის პროცესშია. აქედან დიზელთან ნარევწარმოქმნის პრინციპით ყველაზე ახლოა დისკრეტული შეფრქვევის ძრავა.

დიზელისა და დისკრეტული (ციკლური) შეფრქვევის ძრავების ეკონომიკური შედარებისათვის ჩატარებული იქნა თბური ანგარიშები, რომელთა მიხედვით ვიდებთ ჩვენთვის საჭირო მონაცემებს:

- ძრავას სიმძლავრე  $N_e=200$ კვტ;
- ძრავას ბრუნთა რიცხვი  $n_{\text{დიზ}}=2800 \text{წ}^{-1}$   
 $n_{\text{დის}}=5000 \text{წ}^{-1}$  (კარბურატორიანი ძრავი)
- ცილინდრების რიცხვი  $i=4$ ;
- ძრავას ტაქტიანობა  $\tau=4$  (ოთხტაქტიანი);
- ძრავების საწვავის ხვედრითი ხარჯები ნორმალურ რაჟიმებზე

$$g_{\text{დიზ}}=260 \text{გრ/კვტსთ}; \quad g_{\text{დის}}=290 \text{გრ/კვტსთ}.$$

- გამოყენებული საწვავის ხვედრითი წონები

$$\gamma_{\text{დიზ}}=0.84 \text{გრ/სმ}^3; \quad \gamma_{\text{დის}}=0.78 \text{გრ/სმ}^3.$$

ვიანგარიშოთ აღებული ძრავების ციკლური მიწოდებები ფორმულით

$$V_{\text{ცის}}=\frac{ge \cdot Ne \cdot \tau \cdot 10^3}{120 \cdot n \cdot i \cdot \gamma}, \quad (1)$$

რიცხითი მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ გვაქვს

$$V_{\text{დიზ}}=92.1 \text{მმ}^3/\text{ცის}=9.21 \text{გრ/ცის}; \quad V_{\text{დის}}=61.9 \text{მმ}^3/\text{ცის}=6.19 \text{გრ/ცის}$$

რადგან განზომილების მნიშვნელში მოცემულია ციკლი, განვსაზღვროთ მისი ხანგრძლივობა ფორმულით

$$t = \frac{\Delta\varphi}{6n}$$

აქ  $\Delta\varphi$  საწვავის ფრქვევანებიდან გამოდინების კუთხეა და შედგება ორი კუთხის ჯამისაგან, რომელთაგან ერთი იღება დგუშის ზმტ გავლამდე  $10-15^0$ -ით ადრე, ხოლო გავლის შემდეგ  $40-85^0$ . ამასთანავე ცნობილია, რომ ერთი სამუშაო ციკლი, ოთხტაქტიან ძრავებში (დგუშის 4 სვლა) სრულდება მუხლა ლილვის ორი

შემობრუნებით, რის გამოც ფორმულა 1-ით ნაანგარიშები სიდიდეები გაიყოფა ორზე, ან

$$V_{\text{დოზ}} = 9,2 \text{ კმ}/\text{ტონ} = 0,0092 \text{ კმ}/\text{ტონ} \div 2 = 0,0046 \text{ კმ}/\text{ტონ};$$

$$V_{\text{დოსკრ}} = 6,19 \text{ კმ}/\text{ტონ} = 0,00619 \text{ კმ}/\text{ტონ} \div 2 = 0,0031 \text{ კმ}/\text{ტონ};$$

მიღებული შედეგების დამაჯერებლობის მიზნით ვსარგებლობთ თბური ანგარიშით და ავილოთ ჩვეულებრივი კარბურატორიანი ძრავი, რომლისთვისაც ციკლური მიწოდება (1) ფორმულით არ ისაზღვრება. ამ ძრავში საწვავი იხარჯება ძირითადად ორი ძირითადი და საკომპენსაციო ჟიკლერებიდან. როცა  $\eta_{\text{კარ.ძ}} = 5000 \text{ ტ}^{-1}$ , საწვავის საათური ხარჯი  $G_{\text{კარ.ძ}} = 18,186 \text{ კგ}/\text{სთ}$  ( $0,00505 \text{ კგ}/\text{ტონ}$ ).

მთავარი ჟიკლერიდან გამოდინებული საწვავის რაოდენობა  $G_{\text{მთ.კ}} = 0,0048 \text{ კგ}/\text{ტონ}$ , ხოლო საკომპრესიო ჟიკლერიდან კი  $G_{\text{სკ.კ}} = 0,00505 - 0,0048 = 0,00025 \text{ კგ}/\text{ტონ}$  ( $0,025 \text{ კგ}/\text{ტონ}$ ). [4].

ამრიგად საწვავის ხარჯვის შედარებითი სურათი ასეთია:

$$V_{\text{დოზ}} = 0,0046 \text{ კმ}/\text{ტონ}; \quad V_{\text{დოსკრ}} = 0,0031 \text{ კმ}/\text{ტონ} \quad \text{და}$$

$$V_{\text{კარ.ძ}} = 0,0048 \text{ კგ}/\text{ტონ},$$

რაც დისკრეტული ფრქვევანიანი ძრავის უპირატესობაზე მიუთითებს.

ამრიგად მსუბუქ საწვავზე მომუშავე და დისკრეტული შეფრქვევის სისტემის ძრავებით აღჭურვილი ავტომობილების უპირატესობა იძულებით უქმნის სვლაზე მუშაობის დროს, რომელიც საგრძნობია და სამთაბარო საექსპლუატაციო პირობებისათვის უფრო ეფექტურია ცვალებადი რეჟიმების საიმედო და ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის.

## ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. გ. ფხალაძე, ი. ქოჩიაშვილი – ავტომობილის ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1976 წ. 239 გვ.
2. გ. ხარიტონაშვილი – საავტომობილო გადაზიდვები. თბილისი. 2003 წ. 388 გვ.
3. მახალდიანი ვ. მ – შიგაწვის ძრავების თეორია. თბილისი. განათლება, 1977-438გვ.
4. Кольчич А. И., Демиров В.П – Расчёт автомобильного и тракторного двигателя, М. Высшая школа, 2003. 496с.

Агрономика

## ЭКОНОМИЧНОСТЬ АВТОМОБИЛЬНОГО МОТОРНОГО ТОПЛИВА В ГОРНЫХ УСЛОВИЯХ

**Е. КИЛАСОНИЯ, С. ТАВБЕРИДЗЕ, К. ТУРМАНИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

### Резюме

В горных условиях работа автомобиля характеризуется особенностями, которые предъявляют автомобилю и его мотору особые требования.

В работе рассматривается преимущество автомобиля, работающего на легковом топливе и оснащенного системой дискретного впрыска двигателем при вынужденном холостом движении, характерном в условиях горной эксплуатации, и более эффективном для надежного и экономичного обеспечения переменных режимов.

Agroengineering

## ECONOMY OF MOTOR FUEL IN MOUNTAIN CONDITIONS

**E. KILASONIA, S. TAVBERIDZE, K. TURMANIDZE**

Akaki Tsereteli State University

### Summary

In mountain conditions, the operation of the car is characterized by features that impose special requirements on the car and its motor.

In the work, the advantage of a car operating on light fuel and equipped with a system of discrete injection by the motor at forced idle motion, which is characteristic in conditions of mining operation, and is more effective for reliable and economical provision of variable modes, is considered.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნიკური პრობრესი  
სოფლის მეურნეობაში

მათხა წიქორიძე

აგროინჟინერიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ენერგორესურსების სტრუქტურის განხაზღვრა. ენერგორესურსების ქვეშ იგულისხმება ენერგეტიკული სიმძლავრის საერთო მარაგის გამოყენება. სოფლის მეურნეობის ტექნიკურ სწრაფ შეიარაღებასთან დაკავშირებით განუხრელად იზრდება მისი ენერგეტიკული სიმძლავრე და იცვლება მისი სტრუქტურა.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ეს არის წარმოების საშუალებათა ერთობლიობა და პირველყოვლისა თანამედროვე მანქანების შემოყვანა-წარმოება სოფლის მეურნეობის ყველა დარგისათვის. მის შემადგენელ ელემენტებად ითვლება: მიწა-როგორც სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარი საშუალება; ტრაქტორები, ავტომობილები, ძრავები და სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, საწარმოო შენობები, მელიორაციული შეიარაღება, მრავალწლიანი ნარგავები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, სათესლე მასალები, შესაწამლი და შესაფრქვევი შხამქიმიკატები, სასუქი და სხვა.

დღეისათვის საქართველოს მთავრობა სისტემატურად ატარებს დონისძიებებებს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ამასთანავე მოითხოვს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და სპეციალისტებისაგან რაციონალურად იყოს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო საგარეულები (მიწა), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებები.

სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ენერგორესურსების სტრუქტურის განხაზღვრა. ენერგორესურსების ქვეშ იგულისხმება ენერგეტიკული სიმძლავრის საერთო მარაგის გამოყენება კერძო თუ სახელმწიფო საწარმოებში, კერძოდ: ტრაქტორები, ავტომობილები, კომბაინები, ძრავები, ელექტროდანადგარები და სხვა მექანიკური ძრავები. სოფლის მეურნეობის ტექნიკურ სწრაფ შეიარაღებასთან დაკავშირებით განუხრელად იზრდება მათი ენერგეტიკული სიმძლავრე და იცვლება სტრუქტურა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საკუთარ ენერგორესურსებს მიეკუთვნება: შიგაწვის ძრავების სიმძლავრე, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა მუშა მანქანებს, საკუთარი ელექტროსადგურის ელექტროგენერატორის სიმძლავრე და სხვა ყველა სახის სიმძლავრე, მათ შორის მუშა პირუტყვის სიმძლავრე.

ელექტროსილმძლავრის საერთო ჯამის განსაზღვრისათვის აუცილებელია საკუთარ ენერგორესურსებს დაემატოს დაბალი ძაბვის ტრანსფორმატორების სიმძლავრე. ენერგოსიმძლავრის სტრუქტურა განისაზღვრება ცალკეული სახის ენერგოწყაროების დამოკიდებულებით სახეზე მყოფ საერთო ენერგორესურსებთან და გამოისახება პროცენტებში. ენერგოსიმძლავრის სტრუქტურაში მექანიკური ძრავის ხვედრითი წონა შეადგენს 98-99%-ს, 1 2%-I მოდის (მთიან რეგიონებში) და მუშა პირუტყვის წილად. ძრავების სიმძლავრის ძირითად წყაროდ ითვლება-ტრაქტორები, ავტომობილები და კომბაინისძრავები.

როგორც განვიხილეთ ენერგორესურსების სტრუქტურის განსაზღვრა აგრეთვე აუცილებელია განვსაზღვროთ ტრაქტორებისა და ავტომობილების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა :

I. განვსაზღვროთ ტრაქტორების ეკონომიკური ეფექტიანობა.

1) ტრაქტორების მუშაობის ცვლის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც გამომუშავებული მანქანა-ცვლის რაოდენობის შეფარდება საანალიზო პერიოდში მანქანათა დღეთა რაოდენობასთან.

$$K = \frac{\sum M_{cv}}{\sum MD}$$

სადაც  $K$  – კოეფიციენტია.

$\sum M_{cv}$  - გამომუშავებული მანქანა-ცვლის რაოდენობა

$\sum MD$ - გამომუშავებული მანქანა-დღის რაოდენობა.

2) მანქანა-დღის ხანგრძლივობა გვიჩვენებს დღის განმავლობაში რამდენ საათს მუშაობენ ტრაქტორები. ამ მაჩვენებელს განსაზღვრავენ ცვლის კოეფიციენტის გამრავლებით, ცვლის ხანგრძლივობაზე. (დღისგანმავლობაში 7სთ).

$$T_m - D = K \cdot 7 \text{ სთ.}$$

სადაც  $T_m$  - მანქანა-დღის ხანგრძლივობა საათებში.

$K$ -ტრაქტორის ცვლის კოეფიციენტია.

3) ტრაქტორის გამოყენების კოეფიციენტს ანგარიშობენ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის გაყოფით სამუშაო დროში შესაძლო გამომუშავებაზე, შესაძლო გამომუშავებას ანგარიშობენ ფორმულით:  $P_f = T_m \cdot \eta - \text{სადაც} P_f = \text{გამომუშავებულ } \text{საათებში } \text{ტრაქტორის } \text{შესაძლო } \text{მოცულობაა } \text{პირობით } \text{ხვნა-ჰა-ში.}$

$$K_d = \frac{P_f}{P_{Ses}}$$

სადაც  $K_d$  - ტრაქტორი სიგრძეებისკოეფიციენტია.

$P_f$ -ტრაქტორის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობაა პირობით ხვნა-ჰა-ში.

F ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას 1-მანქანა-დღეში განსაზღვრავენ შესრულებული სამუშაოს საერთო რაოდენობის გამოყოფით მანქანა-დღის რაოდენობაზე, რომელიც გამომუშავებულია საანგარიშო პერიოდში:

$$P_f = \frac{\sum P_{saerT}}{\sum MD}$$

სადაც  $P_{saerT}$  - არის სამუშაოს საერთო მოცულობა შესრულებული საანალიზო პერიოდში პირობითი ხენა ჰა-ში.

ხოლო რაც შეეხება ტრაქტორის წლიური ნორმატიული გამომუშავება გვიჩვენებს თუ როგორი მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლია წლის განმავლობაში თითოეულ ტრაქტორს დღის განსაზღვრული ნორმის

გამომუშავების პირობებში, ამ მაჩვენებელს განსაზღვრავენ წარმოებული სამუშაოს მოცულობის გამომუშავების ნორმატიული საათების მიხედვით, სადაც მანქანა-დღეების გამომუშავებულ რაოდენობას გაყოფენ საშუალოდ წლიურ მანქანა-ტრაქტორის რიცხვზე:

$$B_6 = \frac{MD}{K}$$

სადაც  $B_6$  –არის წლიური გამომუშავების ნორმატიული მიხედვით ხვნა, ჰა-ობით.

**K-მანქანა-ტრაქტორის საშუალო წლიური რაოდენობა (ცალი)**

II. აგრეთვე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტრანსპორტის სახეობათა შორის ძირითადი ადგილი უჭირავს ავტომობილს. მისი რაციონალური გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას ტგირთზიდვის მოცულობის გადიდებისა და მათი თვითდირებულების შემცირებაში. ამიტომ სოფლის მეურნეობაში ავტოტრანსპორტის მუშაობის ეკონომიკურ შეფასებას უნდა მიეკვეს დიდი ურადღება.

საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფის დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება მანქანების ტგირთამწეობის ხელისური წონის მაჩვენებელი გაანგარიშებული 100პა სასოფლო-სამეურნეო მსავარგულზე ან 100პა სახნავზე.

$$Q_{ტ.} = \frac{T_{saerT} \cdot 100}{t_{miw}}$$

სადაც  $Q_{ტ.}$ -არის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

**T<sub>საერთ-საავტომობილო ტრანსპორტის საერთო ტონაჟი</sub>**.

თაოზ-მიწის ფართობის სიდიდე.

G გარბენის კოეფიციენტის გამოყენებას (K<sub>გარბ.</sub>) განსაზღვრავენ ტგირთით გარბენის (K<sub>ტგირ.</sub>) შეფარდებას ავტომობილის საერთო გარბენასთან. ე.ი.

$$K_{გარბ.} = \frac{\sum K_{trvT}}{\sum K_{saerT}}$$

ტგირთის გადატანის საშუალო მანძილი (L ტგირთი) გვიჩვენებს ერთი ტონა ტგირთის გადაზიდვის საშუალო სიშორეს. ეს მაჩვენებელი შეიძლება გავიანგარიშოთ, როგორც შესრულებული სამუშაოს რაოდენობა (Pფაქ) ტ/კმ-ში. შეფარდებული ფაქტიურად გადატანილი ტგირთის საერთო ჯამთან ტ-ობით (Q).

$$L_{ტგირ} = \frac{\sum P_f}{\sum Q}$$

ავტომობილის ერთ-ერთი მუშაობის განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს მისი მწარმოებლობა. ავტომობილის მწარმოებლობა ხასიათდება გადატანილი ტგირთის (T) ანუ

$$\Pi_{ტ.} = \frac{T_{saerT}}{T_{norma}}$$

სადაც  $\Pi_{ტ.}$ -ავტომობილის მწარმოებლობა ტ-ობით.

**T<sub>საერთ -გადატანილი ტგირთის საერთო რაოდენობა</sub>**.

**T<sub>ნორ.</sub> -შესრულებული სამუშაო (ტ/კმ) ანუ ნორმალური ტგირთამწეობა.**

ზემოთმოყვანილი საავტომობილო მუშაობის დამახასიათებელი მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებული იქნეს ცალკეული მარკის ავტომობილების სარგებლობის ანალიზისათვის, ასევე ცალკეული მანქანის ინდიკირულური სამუშაოთა შეფასების დროს.

## ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა – გ. ი. ირუბენიშვილი, ნ. ვ. ვერამაძე – და სხვა. 1980.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები – გ. გველესიანი, ი. მიქელაძე, დ. როდონაია, ი. ბახტაძე, ი. ბერაძე. 1978.
3. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია – ს. ვაჩეოშვილი, ვ. ოქროპირიძე, მ. გუგუშვილი, ვ. მეტრეველი, ი. ხოხლოვი, ი. დროზოვი. 1978.

Агрономия

### МАТЕРИАЛЬНО-ТЕХНИЧЕСКАЯ БАЗА И ТЕХНИЧЕСКИЙ ПРОГРЕСС В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ

**М. ЦИКОРИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

#### Резюме

Для эффективного использования материально-технических средств в сельском хозяйстве необходимо определение энерго-ресурсных структур. Под названием энерго-ресурсов подразумевается использование общего запаса энергетической мощности.

В связи с быстрым техническим вооружением сельского хозяйства растёт его энергетическая мощность и меняется структура.

Agroengineering

### THE MATERIAL AND TECHNICAL BASE AND TECHNICAL PROGRESS IN AGRICULTURE

#### M. TSIKORIDZE

Akaki Tsereteli State University

#### Summary

For the effective use of material and technical facilities determination of energy-resource structures is needed in agriculture. Called energy-resource meant the use of general supply of generating capacity .

In connection with the rapid technical armament of agriculture his generating capacity grows and a structure changes.

## თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის მოდელები

### მირანდა გეჭაძე

სტატიაში განხილულია დემოკრატიის ლიბერალური, კონსერვატიული, პოპულისტური, კომუნისტური და ანარქიული ტრაქტირება, პლურალური და ელიტარული კონცეპციები, პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეაბი, დამცავი, განვითარებადი, პრიციპატორული (ან პირდაპირი მონაწილეობის დემოკრატიი) მოდელები.

დემოკრატიის თანამედროვე თეორიული გააზრება დაკავშირებულია ჯ. ლოკის, შ. მონტესკიეს, ჟ.-ჟ. რუსოს, ა. ტოკვილის, ჯ. მედისონის, ტ. ჯეფერსონის და XVII–XIX სს.-ის მთაზროვნების სახელთან. დემოკრატიის თეორიის განვითარების ტენდენცია ასეთია: თუ ადრე დემოკრატიის ტრაქტირებისას უპირატესობა ენიჭებოდა ნორმატივულ მიღებომას, რომელიც დაკავშირებული იყო დემოკრატიის მიზნებთან, ფასულობებთან, წყაროებთან, მის იდეალებთან, შემდეგ ემპირიულ-აღწერითი (დესკრიპტიული) მიღებომა, რომელიც განიხილავდა რა არის დემოკრატია და როგორ ფუნქციონირებს იგი პრაქტიკულად, დაერისათვის განმსაზღვრელი გახდა პროცედურული მიღებომა, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიული ინსტიტუტების ბუნების, მათი ფუნქციონირების მექანიზმის, დემოკრატიული სისტემის განვითარებისა და დაქვეითების მიზეზების შეცნობის მცდელობასთან.

არსებობს დემოკრატიის ლიბერალური, კონსერვატიული, პოპულისტური, კომუნისტური და ანარქიული ტრაქტირება, პლურალური და ელიტარული კონცეპციები, პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეაბი, დამცავი, განვითარებადი, პრიციპატორული (ან პირდაპირი მონაწილეობის დემოკრატიის) მოდელები.

სხვადასხვა მიღების ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი პარადიგმა: ლიბერალურ-დემოკრატიული და რადიკალურ-დემოკრატიული. ლიბერალურ-დემოკრატიული თეორია გულისხმობს: მორალურად ავტონომიურ ინდივიდს, პიროვნების სუვერენიტეტს, საზოგადოებას როგორც ინდივიდების ერთობლიობას, ინტერესების პლურალიზმს, უფლებების უპირატესობას, ადამიანის თავისუფლებას, წარმომადგენლობით დემოკრატიას, არჩევნებს, თავისუფალ მანდატს, ხელისუფლების დაყოფას, უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი უმცირესობის უფლებების დაცვით. რადიკალურ-დემოკრატიული თეორია გულისხმობს: სოციალურ ადამიანს, ხალხის სუვერენიტეტს, შეზღუდულ საზოგადოებას, საერთო ინტერესს, ინტერესების ერთობას, საერთო კეთილდღეობის პირველობას, მოქალაქის თავისუფლებას, უფლებებისა და მოვალეობების ერთობას, იმპერატიულ მანდატს, ფუნქციების დაყოფას, უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი.

ინგლისელი მოაზროვნე ტ. პობსი სახელმწიფოს კონცეპციის შემუშავებისას აღნიშნავდა, რომ სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, მაგრამ ისინი გადასცემენ მას არჩეულ წარმომადგენლებს, რადგანაც მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი მოქალაქეების დაცვა. ტ. პობსი ხელისუფლების დაყოფის წინააღმდეგია: „თუ სუვერენი სხვას გადასცემს ჯარის მართვის უფლებას, მაშინ სასამართლო ხელისუფლების შენარჩუნებას აზრი არ აქვს, რადგან ვერ შეძლებს კანონების აღსრულებას; თუ ვინმეს გადასცემს გადასახადების ამოღების უფლებას, აზრი არ ექნება სამხედრო ძალების განკარგვას; ხოლო თუ უარს ამბობს ამა თუ იმ დოქტრინის წარმართვაზე, ამან შეიძლება ხალხს აჯანყებისკენ უბიძგოს“.

შ. ეიზენშტადტის აზრით თანამედროვე პოლიტიკურ დისკუსში ძირითადი განსხვავება მდგომარეობს პოლიტიკის პლურალურ და ინტეგრალურ ან ტოტალიტარულ კონცეპციებს შორის. პლურალური კონცეპცია ინდივიდს განიხილავდა როგორც პოტენციურ პასუხისმგებლიან მოქალაქეს და გამოდიოდა მოქალაქის აქტიური მონაწილეობიდან ინსტიტუციონალურ სფეროებში. ამის შედეგი იყო კონსტიტუციების დეკლარირება და მისი დებულებების განხორციელება კონსტიტუციურ-დემოკრატიულ რეჟიმებში, წარმომადგენლობითი ინსტიტუტების განმტკიცება, სასამართლო ხელისუფლების უფლებებისა და დამოუკიდებლობის უზენაესობა.

ავტორიტარული და ტოტალიტარული კონცეპციები, მათ შორის, „ტოტალიტარულ-დემოკრატიული“ ინტერპერეტაციები, „უარყოფდნენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეობრიობის ფორმისრების შესაძლებლობას ღია პროცესების საშუალებით. მათ აერთიანებდათ საზოგადოების მოწყობაში კოლექტივიზმის უპირატესობაზე დაფუძნებული იდეოლოგიური პრინციპი, რომლის არსია საზოგადოების გარდაქმნა ტოტალიტარული პოლიტიკური მოქმედებებით. ასეთ დემოკრატიას უწოდებენ მარქსისტულს, სახალხოს, სოციალისტურს, რომელსაც მიეკუთვნება მარქსისტული ტრადიციებით შექმნილი დემოკრატიის სხვადასხვა მოდელები.

დემოკრატია აქ საკუთრების საზოგადოების ხელში გადასვლაზე აგებულ სოციალურ თანასწორობას ნიშნავს, რაც განსხვავდება თანასწორობის ფასადად გამოყენებული „პოლიტიკური“ დემოკრატიისაგან. ეს თეორია საზოგადოების განიხილავს მხოლოდ კლასობრივი პოზიციებიდან და დემოკრატიის ანალოგიურ ტრაქტირებას გვაძლევს. როდესაც საზოგადოების განვითარების მიმდინარეობისას გაქრება კლასობრივი განსხვავება და მთელი წარმოება ინდივიდების ასოციაციების ხელში იქნება თავმოყრილი, მაშინ საჯარო ხელისუფლება დაკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ხელისუფლება არის ერთი კლასის ორგანიზებული ძალადობა მეორის დასათრგუნად. თუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატი გაერთიანდება კლასად, თუ შეძლებ გადაიქცევა გაბატონებულ კლასად რევოლუციის გზით და გაბატონებული კლასის სახით გააქმებს ძველ საწარმოო ურთიერთობებს, მაშინ ამ საწარმოო ურთიერთობებთან ერთად იგი გაანადგურებს კლასობრივი ანტარენიზმის არსებობის პირობებს, მოსპობს კლასებს ზოგადად, და ამით საკუთარ, როგორც კლასის ბატონობას. ამრიგად, საკუთარი თავის გათავისუფლებისას პროლეტარიატი ათავისუფლებს საზოგადოებას მთლიანად [1].

დემოკრატიის ლიბერალური მოდელი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე შემუშავებულ და პოპულარულ მეთოდს. ეს მოდელი სხვადასხვა დროს შემუშავებული იყო ისეთი მოაზროვნეების მიერ, როგორებიც არიან ნ. მაკიაველი,

ტ. პობსი, ჯ. ლოკი, შ. ლ. დე მონტესკიუ, ჯ. მილი, ი. ბენტამი, ჟ-ჟ. რუსო, ა. დე ტოკვილი და სხვა. ლიბერალური დემოკრატის არსებული კონცეპციების ანალიზის შედეგად დ. პელდი გამოყოფს ლიბერალური დემოკრატიის „დამცავ“ და „განვითარებად“ მოდელებს.

ამ თეორიის მიხედვით ხელისუფლების წყაროდ მიჩნეულია ცალკეული პიროვნება, ხოლო მის უფლებებს აქვთ პრიორიტეტი სხელმწიფო კანონებთან შედარებით. პიროვნების უფლებები განმტკიცებულია კონსტიტუციით და დაცულია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სასამართლოთი, ამიტომ ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოებში მოქმედებს პრეცედენტული სამართლი. თავისუფლებად მიჩნეულია არა პოლიტიკაში ქმიური მონაწილეობა, არამედ შეზღუდვებისა და იძულების, ასევე მოქალაქის ინტერესების სფეროში სახელმწიფოს ჩარევის არ არსებობა. უმცირესობის უფლებები უზრუნველყოფილია უმრავლესობის კომპენტეციების შეზღუდვით მხოლოდ საერთოეროვნული ინტერესების გარკვეულ სფეროში. უმცირესობას უფლება აქვს დაიცვას უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საწინააღმდეგო საკუთარი აზრი, მაგრამ მხოლოდ კანონის ფარგლებში.

„დამცავი დემოკრატიის“ თეორიული მოდელის შემუშავება დაიწყო XVII და XVIII საუკუნეების ფილოსოფოსების ნაშრომებში. „დამცავი დემოკრატიის“ თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულებები შემუშავებული იქნა ამერიკის კონსტიტუციის შემქმნელი ჯ. მედისონის და ინგლისური უტილიტარიზმის წარმომადგენლების ჯ. ბენტანის და ჯ. მილის მიერ. მოცემული მოდელის კველაზე მნიშვნელოვანი დაზუსტება ასეთია: მართველები პასუხისმგებელი უნდა იყენებ მართულების წინაშე. ასეთი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მექანიზმებით არის შესაძლებელი (ფარული კენჭისყრა, რეგულარული არჩევნები, არჩევნებზე კანდიდატების კონკურენცია), რომლებიც იმავდროულად მოქალაქეებს მიანიჭებენ არჩევის, განსაზღვრული პოლიტიკური კურსის დამტკიცებისა და კონტროლის შესაძლებლობას [2].

ჯ. ბენტამი ხაზს უსვამს, რომ დემოკრატიის დროს, ისევე როგორც მართვის სხვა ნებისმიერი ფორმის დროს, ხელისუფლებაში მყოფნი ხელმძღვანელობებ საკუთარი ინტერესებით. მაგრამ წარმომდგენლობითი დემოკრატის ფარგლებში მათი დამოკიდებულება პოლიტიკურ სისტემაზე განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებისას შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა. საყოველთაო ნების გამოხატვისას ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა ისწრაფვოდნენ საყოველთაო კეთილდღეობისაკენ და ანგარიშგალდებული იყვნენ ხალხის წინაშე, ისინი ხალხის მიერ არიან არჩეულნი და შესაძლებელია განმეორებით ადარ აირჩიონ საკუთარი მოვალეობების სათანადოდ რ შესრულების შემთხვევაში. უტილიტარული ეთიკის შესაბამისად, ადამიანი ყოველთვის მოქმედებს საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოება შედგება ინდივიდებისაგან, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ინტერესები გააჩნია და რომლებიც ხშირად სხვა ადამიანის ინტერესებთან კონფლიქტში მოდიან. კანონმდებლის ამოცანაა კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების პარმონიამდე მიყვანა, რაც შესაძლებელია მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიის ფარგლებში, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მოქალაქეების უმრავლესობის ინტერესებთან შესაბამისობაში მიიღება.

„განვითარებადი დემოკრატიის“ თეორიის შემდეგი წარმომადგენელი იყო ინგლისელი ჯ. ს. მილი, რომელიც თვლიდა, რომ დემოკრატიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ისე არის თრგანიზებული, რომ

პასუხისმგებელი პირები იძულებული არიან გაითვალისწინო მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები და მიაწოდონ მათ სრული ინფორმაცია მიმდინარე საქმეების მდგომარეობაზე. ლიბერალური დემოკრატია ან წარმომადგენლობითი სისტემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იცავს მოქალაქეების კერძო ინტერესებს, არამედ მნიშვნელოვანია ინდივიდუალიზმის თავისუფალი განვითარებისათვის, ინფორმირებული და განვითარებადი მოქალაქის ფორმირებისთვისაც [3]. პოლიტიკური მონაწილეობა – ხმის მიცემა, ნაფიც მსაჯულად მუშაობა, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა – მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქის ინდივიდუალური უნარების გაფართოებისათვის.

ბრიტანელი ფილოსოფოსი არალეგიტიმურად თვლიდა პატერნალიზმს, რომელიც ადამიანების თავისუფლების შეზღუდვას უშვებს მათსავე საკეთილდღეოდ: ადამიანი ისე შეიძლება მოიქცეს ყველაფერში რაც მას ეხება, როგორც თვითონ სურს. სახელმწიფომ, თავის მხრივ, პატივი უნდა სცეს თითოეული მოქალაქის თავისუფლებას, მაგრამ იმავდროულად უურადღება უნდა მიაქციოს, რომ ადამიანმა ზიანი არ მიაუენოს სხვას. ჯ. ს. მილის აზრით თავისუფლება გულისხმობს: ა) აზრის, რელიგიის, გამოთქმის თავისუფლებას, ბ) გემოვნების თავისუფლებას, თავისი შეხედულების მიხედვით ცხოვრების დაგეგმვის თავისუფლებას, გ) შეკრების თავისუფლებას. ამრიგად, მილის იდეალია თითოეულის თავისუფლება ყველას სასარგებლოდ. ესეში „თავისუფლების შესახებ“ მილი ამტკიცებდა, რომ პირადი თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთი საფუძველს წარმოადგენს ინდივიდისა და საზოგადოების დაცვა იმ ზიანისაგან, რომელიც მათ შეიძლება მიაუენოს მეორე ინდივიდმა. ნაშრომში „მოსაზრებები წარმომადგენლობით მართველობაზე“ ჯ. ს. მილი აკრიტიკებს აბსოლუტურ მონარქიას. მისი აზრით აბსოლუტური ძალაუფლება ემუქრება ადამიანის ღირსებას, რადგან ადამიანებს აღარ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების და სურვილების წარმოდგენა მათ განხორციელებაზე კონტროლის გარეშე. წარმომადგენლობითი მართველობა, რომლის მოქმედების სფერო და ძალაუფლება შეზღუდულია თავისუფლებისა და ჩაურევლობის პრინციპით, წარმოადგენს მთავრ პირობას თავისუფალი საზოგადოების არსებობისათვის. განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა მილის ნაშრომი „ქალების დაქვემდებარებული მდგომარეობა“. იგი წერდა, რომ ერთი სქესის მეორის მიმართ სამართლებრივი დაქვემდებარების პრინციპი, რომელიც არეგულირებს მათ შორის სოციალურ ურთიერთობებს, თავისთვად არასწორია და დღეისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას კაცობრიობის განვითარებისათვის. ასეთი პრინციპი უნდა შეიცვალოს სრული თანასწორობის პრინციპით, რომელიც არ დაუშვებს ქალებსა და კაცებს შორის არავითარ უპირატესობას [4].

„განვითარებადი დემოკრატიის“ ძირითად ნიშნებს მიეკუთვნება: საყოველთაო საარჩევნო უფლება; წარმომადგენლობითი სისტემა; მოქალაქეების მონაწილეობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების საქმიანობაში ხმის მიცემის, დებატებში მონაწილეობის და ა.შ. გზით; ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; თავისუფალი საბაზო ეკონომიკა; ქალების პოლიტიკური ემანსიბაცია; ხელისუფლების არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების და სახელმწიფო ბიუროკრატიის ფუნქციების გამიჯვნა.

ბოლო ათწლეულებში გაიზარდა ინტერესი ლიბერალური იდეების მიმართ. თანამედროვე ლიბერალიზმის ფილოსოფიური სკოლა წარმოდგენილია ი.

შუმპეტერით, ი. ბერლინით, რ. ნოზიკით, ფ.ა. ფონ ჰაიეგით, რ. დვორკინით, ჯ. როლზით და სხვა.

თანამედროვე ლიბერალიზმის მირითადი განსხვავება კლასიკურისაგან მდგომარეობს, როგორც ამტკიცებდა ი. ბერლინი, თავისუფლების კატეგორიის ტრაქტირებაში. კლასიკური ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელია თავისუფლების ნეგატიური აზრით გაგება (თავისუფლება იძულებისაგან), თანამედროვე ლიბერალიზმში თავისუფლების კონცეპცია შევსებულია პოზიტიური აზრით (თავისუფლება ანუ შესაძლებლობა). ბერლინი აღნიშნავს, რომ თავისუფლება არასოდეს არ იქნება აბსოლუტური: თავისუფლება ზოგჯერ შეიძლება შეიზღუდოს სოციალური კეთილდღეობისათვის, და ამრიგად განხორციელდეს მართლმსაჯულება და სამართლიანობა.

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია ჯ. როლზი. ჯ. როლზის ლიბერალიზმი გამოხატულია მის სამართლიანობის კონცეპციაში, რომელიც პრობლემური სფეროა ლიბერალიზმის თანამედროვე ფილოსოფიაში. პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების ხელშეუხლებლობის და მოქალაქეების თანასწორობის საკითხში როლზის თეორია ახლოს დგას ჯ. ლოკის, ჯ.ს. მილის, ჯ. ბერტამის კლასიკური ლიბერალიზმის თეორიასთან. მისი აზრით: „სამართლიან საზოგადოებაში დამყარებული უნდა იყოს მოქალაქეების თავისუფლება, ხოლო სამართლიანობით გარანტირებული უფლებები არ უნდა იყოს პოლიტიკური ვაჭრობის საგანი“ [5]. სამართლიანობის თეორიის საფუძველი არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საზოგადოება უნდა წარმოადგენდეს თავისუფალ, თანასწორ და რაციონალურ მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის სამართლიან სქემას. სახელმწიფო, თავის მხრივ, მოწოდებულია შეინარჩუნოს საზოგადოების სამართლიანი სტრუქტურა. ჯ. როლზის ცნობილი განსხვავების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანების ბუნებრივი უთანასწორობა უნდა კომპენსირდეს საზოგადოების მიერ. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს საზოგადოებაში რესურსების გადანაწილება მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ჯგუფების სასარგებლოდ. წარმოშობის ან ბუნებრივი მონაცემების არათანასწორობა თავისთვად არ არის არც სამართლიანი, არც უსამართლო, მაგრამ განსხვავების პრინციპზე აგებულ საზოგადოებაში ფორმირდება პრივილეგირებული სოციალური კლასი. როლზის განსხვავების პრინციპის მიხედვით საზოგადოების სტრუქტურა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არცერთი სოციალური ჯგუფი სარგებლობდეს უპირატესობით მეორის ხარჯზე ან მის საზიანოდ.

თანამედროვე ლიბერალები, პოლიტიკური და იდეური წინამორბედებისაგან განსხვავებით, არ უარყოფენ საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობას, მაგრამ ასეთი ჩარევის მასშტაბების შეზღუდვის პირობით, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში. ლიბერალური დემოკრატების ფასეულობების იერარქიაში პრიორიტეტი უპირობოდ თავისუფლებას ენიჭება. ლიბერალების აზრით თავისუფლებისაკენ სვლა წარმოადგენს ადამიანის ბუნებაზე, საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე დამოკიდებულებისაგან თანდათანობით განთავისუფლების პროცესს.

რ. დვორკინი უურადღებას ამახვილებდა არა იმდენად თანაზიარობაზე, რამდენადაც თანასწორობის აუცილებლობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ მრავალმა პარტიამ გამორიცხა თანასწორობის იდეალი თავის პროგრამებიდან. დვორკინი თვლის, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არის დევიტიმური, თუ იგი თანაბარ მზრუნველობას არ იჩენს თავის მოქალაქებზე [6].

ჯ. როლზის და რ. დვორკინის საწინააღმდეგოდ ფ.ა. ფონ პეიგი და რ. ნოზიკი ამტკიცებდნენ, რომ თანამედროვე ლიბერალური ფიქსაცია „სოციალურ სამართლიანობაზე“ განაპირობებს იმ ფაქტის იგნორირებას, რომ თავისუფლება ეყრდნობა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ბაზრის დეცენტრალიზაციას.

თანამედროვე დემოკრატიულ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დემოკრატიის პარტიციპატორულ კონცეპციას, რომელიც შეიმუშავეს თანამედროვე პოლიტოლოგებმა კეროლ პეიტმანმა (ტერმინის „მონაწილეობის დემოკრატია“ ავტორი), კროფორდ მაკფერსონმა, ჯოზეფ კიმერმანმა, ნორბერტ ბობიომ, პიტერ ბახრახმა, ბენჯამენ ბარბერმა და სხვებმა. მოცემული თეორიის არსებ წარმოადგენს დემოკრატიის კლასიკურ იდეალებთან დაბრუნება, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხების განხილვასა და მიღებაში. ისინი დემოკრატიული მონაწილეობის უმნიშვნელოვანების პირობად სოციალურ თანასწორობას მიიჩნევენ: მონაწილეობის პრინციპი უნდა ეხებოდეს არასახელმწიფო საზოგადოებრივ ინსტიტუტებსაც, სადაც ადამიანები პირდაპირ გამოთქვამენ თავის ნებას, პირველ რიგში შრომით კოლექტივებს, რომლებიც შეიძლება მოქალაქეების თვითმართველობად განვიხილოთ. ასეთ საზოგადოებაში მოქალაქეები კარგად ინფორმრებული არიან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მაღალი აქტიურობით გამოირჩევიან.

ამერიკელი პოლიტოლოგი ბ. ბარბერი აღნიშნავს: „პირდაპირი დემოკრატიის საჭიროებს არა მხოლოდ უბრალო მონაწილეობას, არამედ სამოქალაქო მომზადებას და კეთილსინდისიერებას გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში ეფექტური მონაწილეობისათვის. მონაწილეობის დემოკრატია, ამგვარად, წარმოადგენს განათლებული მოქალაქეების პირდაპირ მართვას. დემოკრატია არის არა იმდენად ხალხის ან მასების მართველობა, რამდენადაც განათლებული მოქალაქეების მართველობა“ [7].

პარტიციპატორულ მოდელში მოქალაქეების უმრავლესობის პოლიტიკური აქტიურობის აუცილებლობა იმით აისხება, რომ მათი მონაწილეობის შემცირება „უმცირესობის ტირანიამდე“ მიგვიყვანს. ზევიდან ავტორიტარული ზეწოლის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მხოლოდ ქვეყით ძლიერ ხელისუფლებას. ამ შემთხვევაში ხალხის კეთილდღეობა მიიღწევა მხოლოდ საყოველთაო თანასწორობის უზრუნველყოფისას.

პარტიციპატორულ მოდელში პოლიტიკური მონაწილეობა განხილება არა რაიმე მიზნის მიღწევის საშუალება. იგი თავად შეიცავს მიზანს, რამდენადაც მხოლოდ თანამედროვედ გაგებული მონაწილეობა უწყობს ხელს მოქალაქეების ინტელექტუალურ და ემოციონალურ განვითარებას.

ამრიგად, მონაწილეობა ასრულებს ორ ფუნქციას: ერთის მხრივ, იცავს მოქალაქეებს ზემოდან თავსმოხვეული გადაწყვეტილებებისაგან; მეორე მხრივ, წარმოადგენს ადამიანის თვითსრულყოფის მექანიზმს. მაქსიმალური შედეგის მისაღებად დემოკრატია უნდა გავრცელდეს სხვა სფეროებზეც, რათა ხელი შეუწყოს თანამედროვეობისათვის აუცილებელ ფსიქოლოგიური თვისებების და პარტიციპატორული პოლიტიკური კულტურის ეპოლუციას, რომელიც შეიძლება ფორმირდეს მხოლოდ კ. პეიტმანის პრინციპის „ისწავლე მონაწილეობის მიღება, მიიღე მონაწილეობა“ მიხედვით [8]. იდეალური პარტიციპატორული საზოგადოება ხასიათდება პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების მართვაში მოქალაქეების უშუალო ჩართულობით შუამავლების გარეშე, ლიდერების ანგარიშვალდებულებით

რიგითი წევრების წინაშე და დემოკრატიული დეგიტიმურობის უმაღლესი ხარისხით.

მაგრამ, დღეისათვის პარტიციპატორული მოდელი წარმოადგენს მხოლოდ იდეალს, სასურველ ნორმას, რომლისკენაც სწრაფვა აუცილებელია და რომლის მიღწევა ძალიან რთულია.

დემოკრატიის თეორიული მოდელების ზემოთ მოყვანილი ანალიზი თვალისათვის გვიჩვენებს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული მიღების განსხვავებას და ასახავს ამ ფენომენის არაერთმნიშვან და მრავალწახნაგოვან ბუნებას. ტრაქტირების ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია, პირველ რიგში, ანალიზის კრიტერიუმების ერთიანი სისტემის არ არსებობით. დემოკრატიის თანამედროვე თეორიული მოდელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და პოლიტიკურ პრაქტიკასთან: ისინი ასახავენ დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებულ მართვის რეალურ ფორმებს და პოლიტიკურ რეჟიმებს, ფასეულობების და პოლიტიკური პრაქტიკების სისტემებს.

#### **ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА**

1. Carr W., Hartnett A. Education and the struggle for democracy: the politics of educational ideas. Buckingham ; Philadelphia: Open University Press, 1996. P. 48.
2. Held D. Models of Democracy. Stanford, California: Stanford University Press, 1987, P. 136.
3. Kurki M. Democratic Futures: Re-Visioning Democracy Promotion. Abingdon: Routledge, 2013. P. 37.
4. John Stuart Mill, The Subjection of Women. Глава 1.  
// URL: [https://ebooks.adelaide.edu.au/m/mill/john\\_stuart/m645s/contents.html](https://ebooks.adelaide.edu.au/m/mill/john_stuart/m645s/contents.html)
5. Ролз Дж. Теория справедливости. Новосибирск: Издательство Новосибирского университета, 1995. С. 19-20.
6. Dworkin R. Sovereign Virtue, The Theory and Practice of Equality. London: Harvard University Press. – 2002. P. 1.
7. Barber B. R. Strong Democracy: Participatory Politics for a New Age. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2003. P. 120.
8. Pateman C. Participation and Democratic Theory. Cambridge: Cambridge University Press, 1975. P. 45.

Политические науки

#### **СОВРЕМЕННЫЕ ТЕОРИИ ЛИБЕРАЛЬНОЙ ДЕМОКРАТИИ**

**М. ГЕЦАДЗЕ**

Резюме

В статье рассмотрены либеральные, консервативные, популистские, коммунистические и анархистские трактовки демократии, плураллистические и элитарные концепции, идеи прямой и представительной демократии, модели охранительной, развивающей, партиципаторной демократии (или демократии прямого участия).

Political science

#### **MODERN THEORIES OF LIBERAL DEMOCRACY**

**M. GETSADZE**

Summary

The article considers liberal, conservative, populist, communist and anarchist interpretations of democracy, pluralistic and elitist concepts, ideas of direct and representative law, models of protective, developing, participatory democracy (or democracy of direct participation).

მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოყვეული პრობლემები და  
მათი ბაზაზის ბზები

ნონი ბუბელაძე  
სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის  
ბიოლოგიის მასწავლებელი

### შესაგალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის VIII<sup>მ</sup> კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. ნაშრომში განხილულია მასწავლებლის მიერ სწავლების პროცესში მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრებულად დაგეგმილი და განხორციელებული გზები.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I თავში მოცემულია ინფორმაცია სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის VIII<sup>მ</sup> კლასის შესახებ, განხილულია პრობლემა და საკვლევი საკითხი, კვლევის მიზანი და კვლევის ამოცანები, II თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსე, III თავი ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა, IV თავში კვლევის დიზაინია განხილული, V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგების ანალიზს, ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასებას, VI თავი მოიცავს რეკომენდაციებს, VII თავში გაკეთებულია დასკვნა.

### თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

#### 1.1.პრობლემა და საკვლევი საკითხი

VIII<sup>მ</sup> კლასში საგანი „ბიოლოგია“ შევიდა, როგორც ახალი დისციპლინა. პირველივე გაკვეთილებზე, მოსწავლეებს ვთხოვე გამოეთქვათ საგანთან დაკავშირებული მოლოდინები. როგორც გასაუბრებამ მიჩვნია, ორივე მხარეს (მოსწავლეებსა და მასწავლებელს) გვქონდა მაღალი მოლოდინი.

მიუხედავად აღნიშნულისა 4-5 კვირის შემდეგ გამოიკვეთა პრობლემა - სწავლისადმი დაბალი მოტივაცია მოსწავლეთა მხრიდან, ინტერესის დაქვეითება და, შესაბამისად, სწავლისა და აკადემიური მოსწრების დაბალი დონე.

ვამჩნევდი, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ასრულებდა დავალებას და მომზადებული მოდიოდა გაკვეთილზე. მოსწავლეთა ჩართულობა და აქტიურობა გაკვეთილზე იყო არასაკმარისი.

#### 1.2. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

საქუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, წამოვაყენე პიპოთეზა:

✓ მოსწავლეთა ინტერესისა და, შესაბამისად მოტივაციის დაქვეითების მიზეზი, შესაძლებელია იყოს საგნის სირთულე, ახალი და რთული ტერმინოლოგია;

✓ ერთ-ერთი მიზეზი ასევე შესაძლებელია იყოს მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა სწავლების პროცესში.

### 1.3. კვლევის ამოცანები

➤ მოსწავლეთა წინასწარი გამოკითხვა.

➤ კონსულტირება კათედრის წევრებთან

➤ საკითხთან დაკავშირებული არსებული კვლევებისა და ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი;

➤ მოქმედების სტრატეგიის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა;;

➤ თითოეულ მოსწავლეზე დაკვირვება სწავლების პროცესში;

➤ მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების პრეზენტაცია.

### 1.4. საკვლევი კითხვები

ძირითადი კითხვა: რა იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითებას?

ქვეკითხვები:

➤ რამდენად არის ჩართული მშობელები სასწავლო პროცესში?

➤ აქვთ თუ არა მოსწავლეებს რთული მასალის გაგება-გააზრების უნარი?

➤ მუშაობს თუ არა, მოსწავლე სისტემატიურად?

➤ ეხმარება თუ არა მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებაში ხშირად ჩატარებული პრაქტიკული სამუშაოები

## თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე წამოვაყენე საკვლევი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეულ პრობლემებს და მის გაუმჯობესების გზებს.

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიღომას, მკვლევრებისა და არასპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. პრაქტიკულ კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთგუნდა ერთიანდებიან, ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ, იდებენ გადაწყვეტილებებს და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რაოდენობა:

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის VIII<sup>მ</sup> კლასის 23 მოსწავლე (გოგონა – 11, ვაჟი – 12).

2. სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის VIII<sup>მ</sup> კლასის მოსწავლეთა 21 მშობელი.

სულ – 44 რესპონდენტი.

## თავი III. ლიტერატურის მიმოხილვა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოსწავლის სწავლაზე განსაკუთრებით გავლენას ახდენს სწავლის მოტივაცია. მოსწავლეების დაბალი მოტივაცია კი - ერთ-ერთ მთავარი პრობლემაა თანამედროვე სკოლაში, რადგან სწავლების კანონზომიერება განსაზღვრავს მოსწავლის ჩართულობის აუცილებლობას. [1]

მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს არა მხოლოდ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, არამედ – სწავლისა და სწავლების სხვადასხვა კომპონენტი: მასწავლებლის კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოების ხარისხი, სასწავლო გეგმა, და ა.შ. [2]

მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის გადვივება არამარტო საქართველოს, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც პრობლემას

წარმოადგენს. ეს მიჩნეულია მსოფლიოს გლობალურ პრობლემად, რომელთა გამოსწორების გზებზედაც აქტიურად მუშაობენ განათლების სფეროს წარმომადგენლები, უზიარებენ გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნებს. ასეთი გამოცდილების გაზიარებით ჩვენს ქვეყანაშიც ინერგება მიღიოდა, რომელიც შეცვლის და გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას. ეს მიღიოდა გულისხმობს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას პრაქტიკული მეცადინეობებით, რაც უფრო საინტერესოს და გამოყენებადს გახდის სასწავლო პროცესის დროს მიღებულ ცოდნას მოსწავლეებისთვის. [3]

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემაზე, არამედ კვლევის უნარების განვითარებაზეც. ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტის თანახმად, ცოდნის და კვლევა-ძიების მიმართულება გამიჯნულია, რაც ვალდებულს ხდის მასწავლებელს, მოსწავლეს არამარტო მიაწოდოს ცოდნა, არამედ განუვითაროს კვლევის დაგეგმვის და ჩატარების უნარი. [4]

ჯონ დიუი თვლიდა, რომ განათლება უნდაემყარებოდეს გამოცდილებას და არა – ფაქტების დამასხვოვრებას. მისი მთავარი სლოგანი „სწავლა კეთებით“. დიუის სქემის მიხედვით, სწავლის ეტაპებია: პრობლემის აღმოჩენა, პრობლემის განსაზღვრა, გადაჭრის გზების შეთავაზება, ამ გზების შეფასება წარსული გამოცდი ლებების საფუძველზე, საუკეთესო გზის გამოცდა.

„სწავლა კეთებით“ საბუნებისმეტყველო საგნების პრიორიტეტია. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა – საფუძველი ჩაუყაროს ფუნდამენტურ ცოდნას მეცნიერებების საფუძვლებში – ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია.

დაწყებით საფეხურზე განხორცილებული აქტივობებით და საინტერესოდ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესით უნდა მივაღწიოთ მოსწავლეთა საგნით დაინტერესებას, მოტივირებას, რაც შედეგების გაუმჯობესების უდავო გარანტიაა. ამ საფეხურზე დაგროვებული ცოდნა/გამოცდილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბუნებისმეტყველო საგნებში კომპეტენციების განვითარებაში. ფაქტობრივი ცოდნის ზრდა ორგანულად უნდა დავუკავშიროთ თემის შინაარსიდან გამომდინარე ექსპერიმენტებისა და კვლევების დაგეგმვა-განხორციელებას, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და დადებითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე.

#### თავი IV. კვლევის დიზაინი

##### 4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი:

1. VIII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეები.
2. VIII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეთა მშობლები.
3. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები.

##### 4.2 კვლევის მეთოდები

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდი გამოვიყენ:

**ფოკუს -ჯგუფი, შეხვედრა განვახორციელე კათედრის წევრებთან**

**ფოგუს -ჯგუფის** საშუალებით ჩამოვაყალიბები კითხვები, რომელიც განკუთვნილი იყო მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.

**გამოკითხვა -ეს** მეთოდი გამოვიყენე, რომ დამედგინა მოსწავლეთა მოტივაცია და დამოკიდებულება სასწავლო პროცესთან, ასევე შემესწავლა მათი მშობლების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევაში გამოყებული იქნა შერჩევის ორი ტიპი:

**სრული შერჩევა -** საკვლევი პრობლემის შესასწავლად დავგეგმე გამოკითხვის ჩატარება კითხვარის საშუალებით, რომელიც განკუთვნილი იყო მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის.

**მიზნობრივი შერჩევა -** კვლევის ფარგლებში ეს შერჩევა გამოვიყენე შეხვედრის დროს, რომელიც განვახორციელე კოლეგებთან

#### თავი V. კვლევის შედეგები

##### 5.1. მონაცემთა ანალიზი

პირველ ეტაპზე, პრობლემების მიზეზების დასადგენად და საკუთარი ჰიპოთეზის მართებულობის შემოწმების მიზნით, გადამწყვიტე მოსწავლეებისათვის ჩამეტარებინა მარტივი გამოკითხვა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 23-მა მოსწავლემ. როგორც შედეგების ანალიზმა მიჩვენა, საყვარელ საგნებს შორის მოსწავლეებმა გამოარჩიეს ბიოლოგია (9), ქიმია (3), სპორტი (3), ორ-ორმა რესპონდენტმა გამოარჩია ინგლისური ენა, გეოგრაფია და ისტორია. საგულისხმოა, რომ რამდენიმე მოსწავლემ საყვარელ საგნად დაასახელა რამდენიმე სასწავლო დისციპლინა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.




ძირითად მიზეზებად, თუ რატომ უყვართ კონკრეტული საგანი, მოსწავლეებმა მოიყვანეს შემდეგი მიზეზები:

- ✓ საინტერესო საგანი;
- ✓ კარგი (ბავშვებისათვის საყვარელი)პედაგოგი;
- ✓ პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, რაც აადვილებს სწავლას;
- ✓ ცდების ჩატარების შესაძლებლობა, ახალი და საინტერესო ამებების გაგება.

როგორც და საინტერესო საგნებს შორის, მოსწავლეებმა გამოარჩიეს საბუნებისმეტყველო დისციპლინები: ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია. (იხ. დიაგრამა 2)

დიაგრამა 2




საკუთარი მოსაზრება, რესპონდენტებმა შემდეგი მიზეზებით ახსნეს:

- ✓ ყოველთვის საინტერესოა ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვება;
- ✓ რთული ჩასატარებელია ცდები;
- ✓ რთულადაა გადმოცემული მასალები სახელმძღვანელოში და მეტი პრაქტიკა გამიმარტივებს გაგებას;
- ✓ ტერმინების დამახსოვრება რთულია.


იმ საგნებს შორის, რომლებიც შდარებით უადვილდებათ, მოსწავლეებმა ძირითადად გამოარჩიეს ქართული ენა, ინგლისური ენა, სპორტი, ხელოვნება. ორმა მოსწავლემ გამოარჩია ფიზიკა, ორმა - ქიმია და ერთმა ბიოლოგია. ძირითად მიზეზებს შორის, მათ დაასახელეს სიმარტივე და კარგი პედაგოგი.

დიაგრამა 3




იმ საგნებს შორის, რომლებიც განსაკუთრებით უძნელდებათ, მოსწავლეებმა აღნიშნეს ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია და გეოგრაფია. ძირითადი მიზეზებს შორის კი გამოარჩიეს ბევრი და რთული ახალი ტერმინოლოგია, ამოცანების ამოხსნის სირთულე.

დიაგრამა 4.



პასუხები კითხვაზე, თუ რომელი საგანი არ მოსწონთ, წარმოდგენილია დიაგრამა 5.

დიაგრამა 5



ძირითადი მიზეზები კი შემდეგია: რთული და მნელად გასაგები საგანი, დიდი გაკეთილები, ფორმულების სწავლის სირთულე.


გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შემდეგ, გადავწყვიტე ჩამეტარებინა ინტერვიუ კათედრის წევრებთან - ინტერვიუს მიზანი იყო, გამეგო მათი მოსაზრება აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში, კოლეგები გამოთქამდნენ სხვადასხვა მოსაზრებებს და ახდენდნენ გამოცდილების გაზიარებას.

მოისმინეს რა ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, კოლეგებმა, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მირჩიეს გაკვეთილის ჩატარებისას გამომეუჯებინა „სწავლა კეთებით“ მეთოდი და მასალა გამემდიდრებინა პრაქტიკული მაგალითებით, რაც გაზრდიდა მოსწავლეთა დაინტერესებასა და მოტივაციას, მისცემდა რთული ტერმინების აღქმის შესაძლებლობას.

შემდეგ ეტაპზე, მოსწავლეთა მოტივაციისა და სწავლის პროცესის მიმართ დამოკიდებულების დადგენის მიზნით, გადავწყვიტე ჩამეტარებინა ანკეტირება მოსწავლეებისა და მათი შრობლებისა.


გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლა  
მას სჭირდება განათლების მისაღებად, 19-19-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ სწავლა  
მათთის მნიშვნელოვანია მომავალი პროფესიისათისა და უმაღლეს  
სასწავლებელში ჩასაბარებლად.

დიაგრამა 6.



გამოკითხულთა 60%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ წარმატებულს სწავლაში მას ეხმარება თანამედროვე მეთოდებით ახსნილი ახალი მასალა (პრაქტიკული სამუშაოები). 30% პროცენტისათის მნიშვნელოვანია თეორიული, ლექციური მეცანიერებები. მხოლოდ 9%-მა აღნიშნა, რომ სწავლა მას ეხმარება მაღალი შეფასება.


დიაგრამა7.



მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გაძვეთილზე უფრო მოტივირებულია, როდესაც აინტერესებს შესასრულებელი სამუშაო და თვლის, რომ გამოადგება შემდგომში, და როცა ახერხებს თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენებას.

დიაგრამა 8.


## 3. მე უფრო მოტივირებული ვარ გაკვეთილზე, თუ



გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გაკვეთილზე მისი მიზანია შეისწავლოს ახალი საინტერესო მასალა

დიაგრამა 9.


## 4. გაკვეთილზე ჩემი მიზანია



მოსწავლეთა 48% აქტიურია გაკვეთილზე თუ კარგად იცის თემა და ესმის მასალა, 30% კი აცხადებს, რომ ის გაცილებით აქტიურია, თუ აქვს სამუშაოს პრაქტიკულად შესრულების საშუალება.

დიაგრამა 10.

## 5. მე აქტიური ვარ გაკვეთილზე თუ




- ვარგად ვიცი თემა და მესმის მასალა
- სამუშაოს ვასრულებ პრაქტიკულად
- დარწმუნებული ვარ, რომ გავართმევ თავს
- არ დავისჯები შეცდომისთვის

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (83%) აცხადებს, რომ მარტივად ითვისებს მასალას, თუ ის მისთის გასები და საინტერესო.

დიაგრამა 11.


## 6. მე მარტივად ვითვისებ მასალას, თუ



- ის ჩემთვის საინტერესო და გასაგებია
- მაიძულებენ
- კარგ განწყობაზე ვარ
- ნიშანი მაქვს გამოსასწორებელი

რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ უკეთ ითვისებს მასალას თუ პედაგოგის ასენილი მასალა გაჯერებულია პრაქტიკული მაგალითებით და საშუალება აქვს პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატაროს კვლევა.

დიაგრამა 12.

7. მე უკეთ ვისთვისებ მასალას როდესაც  
4%


- პედაგოგი თეორიულად გვიხსნის ახალ თემას
- პედაგოგის ახსნილი მასალა გაჯერებულია პრაქტიკული მაგალითებით
- პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ ვატარებ ცდებს
- დამოუკიდებლად ვიძიებ ინტერნეტში ინფორმაციას

როგორც ცნობილია, სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. კვლევების თანახმად, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იდებენ კარგ ნიშნებს, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და უფრო ხარისხიანად ასრულებენ საშინაო დავალებები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან თანატოლებისა და სკოლის მიმართ, აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

ზემოდებული გამომდინარე, შემდეგ ეტაპზე გამოვიკითხე მშობლები. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 21 მშობელმა. მათი უმრავლესობა იყო ქალი.

დიაგრამა 13.


1. სქესი



გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა (57%) მიიჩნევს, რომ მათ შვილებს წარმატებულ სწავლაში ეხმარება თანამედროვე მეთოდებით ახსნილი ახალი მასალა (პრაქტიკული სამუშაოები).

დიაგრამა 14.

## 2. თქვენს შვილს, ეხმარება წარმატებულ სწავლაში:




- მაღალი შეფასება
- ღერიული გაკვეთილები
- თანამედროვე მეთოდებით ახსნილი ახალი მასალა (პრაქტიკული სამსახური)

მშობლების აბსოლუტური უმრავლესობა (90%) მიიჩნევს, რომ მათი შვილები მარტივად სწავლობენ გაკვეთილს თუ ის მათთვის საინტერესო და გასაგებია, ხოლო უკეთ სწავლისაკენ მათ უბიძგებთ როდესაც ახერხებენ თეორიული მასალის პრაქტიკულ გამოყენებას.

დიაგრამა 15.


## 3. თქვენი შვილი მარტივად სწავლობს გაკვეთილს, თუ...



- ის მისთვის საინტერესო და გასაგებია
- აიმულებენ
- კარგ განწყობაზეა
- ნიმანი აქვს გამოსასწორებელი

დიაგრამა 16.

4. უკეთ სწავლისკენ მას უბიძებს...




- როცა, ახერხებს თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენებას
- თქვენ და მასწავლებლები
- ვალდებულების გრძნობა
- დაბალი ნიშნები

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მისი შვიული უფრო აქტიურია კარგად ესმის თემა, და სამუშაოს ასრულებს პრაქტიკულად.

დიაგრამა 17.

5. თქვენი შვილი უფრო აქტიურია თუ:




- კარგად იცის თემა და ესმის მასალა
- თითქმის ყოველთვის
- სამუშაოს ასრულებს პრაქტიკულად
- იცის, რომ არ დავისჯება შეცდომისთვის

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მისი შვილი უბეთ ითვისება პრაქტიკული მაგალითებით გაჯერებულ მასალას და იმ მასალას, რომლის შესრულებაშიც აქტიურად არის ჩართული.

დიაგრამა 18.

6. თქვენი შვილი უკეთ ითვისებს



- თეორიულ მასალას
- პრაქტიკული მაგალითებით გაჯერებულ მასალას
- ინფორმაციას, რომელსაც დამოუკიდებლად იძიებს
- მასალას, რომლის შესრულებაშიც აქტიურად არის ჩართული

5.2. კვლევის მიზნები

ჩატარებული გამოკითხვის შედეგად და მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

➤ მოსწავლები ნაკლებ დროს უთმობს და სისტემატიურად არ ასრულებს საშინაო დავალებას

➤ მშობელები სხვადასხვა მიზეზის გამო აქტიურად არ არის ჩართული სასწავლო პროცესში?

➤ მოსწავლებს უჭირთ რთული მასალის გაგება-გააზრება

➤ მოსწავლეებს რთული მასალის ათვისება ურჩევნიათ პრაქტიკული დავალებების შესრულებით

➤ მოსწავლეებთან იშვიათად ჩატარებული პრაქტიკული სამუშაოები იწვევს მოტივაციის დაქვეითებას

### 5.3. შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის შემდეგი ვარიანტები:

❖ საბაზო საფეხურის პედაგოგებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება

❖ სწავლების პროცესში „სწავლა კეთებით“ მეთოდის დანერგვა და მასალის გამდიდრება პრაქტიკული მაგალითებით, რაც გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებასა და მოტივაციას, მისცემს რთული ტერმინების აღქმის შესაძლებლობას.

❖ მასწავლებელთა გადამზადება „სწავლა კეთებით“ მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით.

❖ მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

### 5.4. განხორციელებული ცელილებები

შევარჩიე და დავნერგე „სწავლა კეთებით“ მეთოდი:

❖ ჩონჩხის ახელისას - დავალება:

1.1. ძვალი მარილმჟავაში, რამაც ოვალსაჩინო გახადა შდგენილობა და მინმარილების მნიშვნელობა;

1.2. ხერხემლის შემოწმება - მუჭის გამოყენებით (მშობლებისთვის)

1.3. ბრტყელტერფიანობის კონტროლი - ცარცის ფხვნილით (მშობლები)

❖ საჭმლის მომნელებელ სისტემაზე- დავალება :

2.1. სინჯარაში კუჭის იმიტაციის შექმნა;

❖ გულსისხლძარღვთა სისტემა - დავალება:

3.1. სისხლის ანალიზის აღება და მიკროსკოპში ნახვა;

3.2. ფიზიკური დატვირთვისას პულსაციის ცელილება -ცხრილებით (მშობლებისათვის)

❖ სასუნთქი სისტემა - დავალება :

4.1. ფილტვის მოდელის შექმნა;

❖ ნერვული სისტემა - დავალება :

5.1. მუხლის რეფლექსის შემოწმება;

5.2. მეხსიერებისთვის - საგნების დამახსოვრება და ჩამოწერა ცხრილში თანამიმდევრობით.....

მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება - კლასში ჩატარდა მშობლებთან შეხვედრები, სადაც პედაგოგებმა დეტალურად

ესაუბრეს მშობლებს და მისცეს მათ რეკომენდაციები, თუ როგორ ჩაერთონ შვილების სწავლის პროცესში.

## თავი VI. რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება

### 6.1. რეკომენდაციები

1. მასწავლებლებმა სწავლის პროცესში გამოიყენოს „სწავლა კეთებით“ მეთოდი და მისცეს ისეთი დავალებები, რომლის შესრულება მარტივია, არ მოითხოვს დიდ დროს. დავალების მიცემის დროს გასცეს შესაბამისი ინსტრუქცია გამოიყენოს კომპლექსური დავალებები.

2. სწავლის პროცესში უურადღება უნდა მიექცეს თემის აქტუალურობის განხილვას.

3. ისეთი ფორმით სწავლებას, რომელსაც არ აქვს კავშირი ყოველდღიურობასთან აუცილებლად მივყავართ მოტივაციის დაკარგვამდე და ცუდ აკადემიურ მოსწრებამდე.

4. პრაქტიკულად შესასრულებელი დავალების დროს მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის პოტენციალი და მისი ინტერესები, რათა მიაღწიოს შედეგს. აუცილებელია მისი გარეგანი და შინაგანი მოტივაციის შექმნა, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, თვითორწმენა, თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

5. სწავლების პროცესში უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა როგორც პედაგოგებს, ისე პედაგოგებსა და მშობლებს შორის.

### 6.2. ინტერვენციის შეფასება

შეფასების მიზანს წარმოადგენს, გამეგო:

➤ რამდენად ეფექტურია დანერგილი „სწავლა კეთებით“ მეთოდი.

➤ დაეხმარება თუ არა მოსწავლეს მასალის უკეთ გააზრებაში თეორიული მასალის პრაქტიკული სამუშაოებით გამდიდრება, როგორ აისახა გატარებული ცვლილებები სწავლის შედეგებზე.

როგორც დაკვირვებამ, ასევე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ინტერესუებმა აჩვენა, რომ საგაბეჭილო პროცესში ჩემს მიერ განხორციელებულმა სტრატეგიებმა, რომლებიც გულისხმობდა „სწავლა კეთებით“ მეთოდის დანერგვას, საკლასო აქტივობების მოსწავლეთა ინტერესებთან დაკავშირებას, თეორიული მასალის პრაქტიკული სამუშაოებით გამდიდრებას, გამოიწვია მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა და აამაღლა მათი შინაგანი მოტივაცია. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული გაკვეთილზე, მათთვის თვალსაჩინო გახდა პრაქტიკული სამუშაოების დროს მიღებული შედეგები, დაეხმარა ახსნილი მასალის უკეთ გააზრებაში, ხელი შეუწყო მოსწავლეებში ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტის განვითარებას. გაიზარდა მოსწავლეებში შინაგანი მოტივაცია საგნისადმი, მოსწავლეებმა უკეთ აითვისეს მასალა, მიეზივნენ დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას და აზროვნებას, საბოლოო ჯამში კი გავიდნენ უკეთეს სასწავლო შედეგზე.

## თავი VII . დასკვნა

7.1 კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა მოტივაციისა და, შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკული სამუშაოების აქტიური გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და მოსწავლე უკეთ ითვისებს თეორიულ მასალას, როდესაც თავად აქტიურად არის ჩართული სამუშაოების შესრულებაში.




**7.2** სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა ცდები, ექსპერიმენტები, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები, უფრო მრავალფეროვანს, საინტერესოს ხდის საგაკვეთილო პროცესს. აღნიშნული ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად, რადგან ის ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების შესაბამისად შედეგებზე გასვლას.

**7.3** მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის ურთიერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის.

**7.4.** პრაქტიკული კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იყოს შემდეგი რეკომენდაციები მასწავლებლების მხრიდან:

- საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში ექსპერიმენტების ჩართვა;
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გაკვეთილების დაგეგმვა;
- ჩასატარებელი სამუშაოების ისე დაგეგმვა, რომ მოსწავლეები თავად ასრულებდნენ პრაქტიკულ სამუშაოებს;
- თვალსაჩინოებების გამოყენება;
- კომპლექსური დაგალებების გამოყენება;
- შედეგების მოსწავლეებთან ერთად შეჯამება;
- მოსწავლეების მიერ დასკვნების გამოტანის ხელშეწყობა და წახალისება.

**7.5** კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგების მდგრადობის თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენ პირველი და მეორე სემესტრის შემაჯამებელი წერების ანალიზს:



ბლოგის მისამართი

<http://ninogubeladz.blogspot.com/2018/06/blog-post.html>

### ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. მელქიშვილი მ.-მოტივაცია - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013
2. კაპანაძე ხ. სწავლა კეთებით – საბუნებისმეტყველო საგნების პრიორიტეტი და მოსწავლეთა მოტივაცია. The 4th Teacher Conference “University and School” (Problems of Teaching and Education) The exchange of Good Practices Materials, 17 October, 2015.
3. ჩინჩალაძე ი., ბურჯანაძე თ. იწვევს თუ არა ექსპერიმენტული სამუშაოები საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მოტივაციის ზრდას. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება. პრაქტიკული გამოცდილება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. საბუნებისმეტყველო განათლების კვლევითი ცენტრი შ იშ. პედაგოგთა პირველი კონფერენციის მასალები. 16 აპრილი, 2016.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტი. თბილისი: განათლების და მეცნიერების სამინისტრო <http://ncp.ge/ge/sabunebismetkvelometsnirebebi/sabunebismetkvelo-ganatlebis-mnishvneloba>
5. მშობელთა ჩართულობა. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის თბილისი, 2015.
6. [www.tfdc.ge/uploads/pdf\\_documents/ketebitswavlebismetodebi.pdf](http://www.tfdc.ge/uploads/pdf_documents/ketebitswavlebismetodebi.pdf)
7. [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16569](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16569)
8. [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=57](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=57)
9. [http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi\\_id=2&id=133](http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=133)

პედაგოგიკა

**მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოყვეული პრობლემები და  
მათი გადაჭრის გზები  
6069 გუგულაძე**

სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის  
ბიოლოგის მასწავლებელი  
რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ქუთაისის 33 საჯარო სკოლის VIII<sup>ა</sup> კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. ნაშრომში განხილულია მასწავლებლის მიერ სწავლების პროცესში მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული გზები.

Педагогика

**ПРОБЛЕМЫ, ВЫЗВАННЫЕ НИЗКОЙ МОТИВАЦИЕЙ УЧАЩИХСЯ И  
ПУТИ ИХ РЕШЕНИЯ**

**Н. ГУБЕЛАДЗЕ**

33 публичная школа г. Кутаиси

Учитель биологии

Резюме

Представленная работа является отчетом практического исследования, проведенного в VIII<sup>6</sup> классе 33 публичной школы г. Кутаиси. В работе рассмотрены проблемы учителя в процессе преподавания, вызванные низкой мотивацией учащихся и запланированные, и осуществленные способы их решения

Pedagogy

**PROBLEMS CAUSED BY LOW MOTIVATION OF STUDENTS AND  
WAYS TO SOLVE THEM**

**N. GUBELADZE**

Biology Teacher, LEPL Kutaisi Public School #33

Resume

This work represents the report of practical research conducted in the 8th grade in Kutaisi public school #33. In this article the teacher reviews the problems in the learning process caused by low motivation of students and the ways to solve them.

ქიმიური ინჟინერია

მცხეობები შემაგალი ბიოლოგიურად აძლიური ნივთიერებების განსაზღვრის  
გეთოდები


6. ცუცირიბი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურული მცენარეების გამოყენების გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია, აგრეთვე ფასდაუდებელია მცენარეული ვიტამინები და სამკურნალო პრეპარატები. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე შემცნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდების DPPH მეთოდი, საექტროფოტომეტრული, ქრომატოგრაფული, კლემპტოექსიტური, თავისებურებები და ნაკლოვანებები.

კულტურული მცენარეების გამოყენების გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია, აგრეთვე ფასდაუდებელია მცენარეული ვიტამინები და სამკურნალო პრეპარატები. დადგენილია, რომ მცენარეის სისტემებში შემავალი მრავალი ქიმიური ელემენტი. დაახლოებით 21 ქიმიური ელემენტია საჭირო მცენარის სიცოცხლისათვის. ეს ელემენტები ბიოგენური ელემენტების სახელითაა ცნობილი. მცენარის 70%-ს შეადგენს ჟანგბადი, 18%-ს - ნახშირბადი, 10%-ს. - წყალბადი, შემდეგ მოდის აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, რკინა და სხვა. ამ ეწ. უნივერსალურ ბიოგენურ ელემენტებს მაკროელემენტებსაც უწოდებენ. ბიოლოგიურად აქტიურ შენაერთთა მნიშვნელოვანი კლასია სტეროიდები. სტეროიდებს მიეკუთვნებიან პორმონები, ფიტოსტერინები, სტეროიდული საპონინები, კარდიოსტეროიდები, ნალვლის მჟავები, სტეროიდული ალკალოიდები, D - ჯგუფის ვიტამინები. მცენარეში შემავალი ფენოლური ნაერთები ფართოდაა გავრცელებული. ისინი გვხვდება მარტივი და რთული ფენოლების სახით.

სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ჭარბი რაოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავენ, საჭიროებს სპეციალურ განსაზღვრის მეთოდებსა თუ კვლევებს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე შემცნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდების თავისებურებები და ნაკლოვანებები.

პირველი მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნა ნივთიერების აქტიური ნივთიერებების განსაზღვრად გახლავთ pH დიფერენცირებული მეთოდი, ის საშუალებას იძლევა სრულად განვსაზღვროთ მონომერული ანტიოციანების პიგმენტის რაოდენობა და ეფუძვება იმ გარემოებას, რომ მონომერული ანტიოციანები 59 შექცევადად იცვლიან ფერს pH-ის ცვლილების შესაბამისად. როგორც წესი შეფერილი ოქსინური ფორმა (oxonium form) არსებობს პ 1.0-ის შემთხვევაში, ხოლო უფერული ჰემიკეტალური ფორმა (hemiketal form) pH 4.5-ის დროს. [1] ანტიოციანების შთანთქმის მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობა 520 ნმ-ზე პროპორციულია პიგმენტების კონცენტრაციისა. მიღებული შედეგების გადაანგარიშება ხდება ციანიდინ - 3 - მონოგლიკოზიდზე. (ნახ.1)



ნახ. 1. ანტოციანების შთანთქმის სპექტრები


მონომერული ანტოციანებისაგან განსხვავებით დეგრადირებული ანტოციანების შეფერილობა არის მედები  $\text{pH}$ -ის ცვლილების მიუხედავად. შესაბამისად ამ მეთოდის საშუალებით არ ხდება მათი განსაზღვრა რადგანაც ისინი შთანთქმებიან როგორც  $\text{pH}$  4,5-ის, ასევე  $\text{pH}$  1,0-ის შემთხვევაშიც. აგრეთვე მონომერული ანტოციანების განსაზღვრისათვის საჭირო ბუფერული ხსნარების მომზადება.

ფენოლური ტიპის ანტიოქსიდანტების განსაზღვრისათვის იყენებენ **DPPH** მეთოდს, სპექტროფოტომეტრული, ქრომატოგრაფული, ელექტროქიმიური და ქიმიური მეთოდები. პოლიფენოლური ნაერთების განსაზღვრის ძირითად მეთოდებს წარმოადგენს ქრომატოგრაფული და ქიმიური მეთოდები.

საერთო ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრის სხვადასხვა პრინციპზე დაფუძნებული მეთოდები შეიძლება დაიყოს ფოტომეტრულ, ფლუორესენციულ, ელექტროქიმიურ, ჰემილუმინეცენციურ და სხვა მეტად სპეციფიკურ მეთოდებად. ძირითადად გამოიყენება რადიკალური მექანიზმით მიმდინარე რეაქციები, სპეციფიკურ, შეფერილ რადიკალსა და ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე ექსტრაქს შორის, სადაც სპექტროფოტომეტრულად ისაზღვრება ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის ცვალებადობა და ხდება, როგორც კონკრეტული ნივთიერების, ასევე ნაერთების ჯამური ანტიოქსიდანტური აქტივობის შეფასება. მათ შორისაა: ORAC - უანგბადის რადიკალის აბსორბციის უნარი, TRAP-ჯამური რადიკალების-შეკავების ანტიოქსიდანტური უნარი, FRAP - რკინის შემცირების ანტიოქსიდანტური ძალა, TEAC - ტროლოქსის ექვივალენტური სიძლიერის ანტიოქსიდანტობა, ორგანული რადიკალით შებოჭვის DPPH (2,2-Diphenyl-1-picrylhydrazil) და ABTS (2,2-Azino-bis(3-ethylbenz-thiazoline-6-sulfonic acid) მეთოდი და სხვა.

თავისუფალი რადიკალის კოლორიმეტრიაა რადიკალის 50%-ი ინპიბირებით. მეთოდი პირველად აღწერილ იქნა 1958 წელს ლოის-ის მიერ და შემდგომ მრავალჯერად მოდიფიცირებული. ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრის DPPH მეთოდი არის სწრაფი, მარტივი დაზუსტი ტესტ-მეთოდი. იგი გამოიყენება, როგორც სხვადასხვა ნაერთების თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარიანობის დასადგენად, ასევე საკებ პროდუქტებსა და წვენებში ანტიოქსიდანტური აქტივობის გასაზომად. DPPH - ( $\text{C}_{18}\text{H}_{12}\text{N}_5\text{O}_6$   $M=394,33$ ) წარმოადგენს სტაბილურ თავისუფალ რადიკალს შთანთქმის მაქსიმუმით 515 - 517 ნმ -ზე, რომლის მეთანოლიანი ექსტრაქტის მეტამული ისფერი შეფერილობა

აღდგენის შედეგად იცვლება დია ყვითლამდე. რეაქცია შემდეგი სქემით მიმდინარეობს:



სადაც: AH ანტიოქსიდანტია, ხოლო R - თავისუფალი რადიკალი.

კონცენტრაციის ნაერთის ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრა DPPH-ის შესაბამისი კონცენტრაციის ხსნარით [2,3].

